21/01/2026

MES 7 26 0000046590

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 30.12.2025
სხდომის დაწყების დრო: 11:10
სხდომის დასრულების დრო: 21:25
საბჭოს თავმჯდომარე: ლევან შავაძე (II-X საკითხი)
საბჭოს მდივანი: ვაჟა კელიხაშვილი (I საკითხი)
სხდომის თავჯდომარე: ქეთევან აფთარაშვილი (I საკითხი)
სხდომის მდივანი: ციური დურული (II-X საკითხი)

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 27^2-ე მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრე ბი:

1. **ლევან შავაძე** - სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ქეთევან აფთარაშვილი** - შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **ვაჟა კელიხაშვილი** - ა(ა)იპ საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მენეჯერი - საბჭოს მდივანი;

4. **ბონდო გასვიანი** - შპს საქართველოს ეროვნული უნივერისტეტი სეუს ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
5. **დავით კაპანაძე** - სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის პროფესორი
6. **ელიზბარ ელიზბარაშვილი** - ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და ბიოტექნოლოგიის სკოლის დეკანი.
7. **თეა მჭედლური** - შპს ,,უნივერსიტეტი ალტერბრიჯის“ ხარისხის სამსახურის კონსულტანტი;
8. **თამარ ზარანდია -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, იურიდიული ფაკულტეტის დეკანი;
9. **ირინა ლობჟანიძე** - სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტის დირექტორი, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ენისა და ლიტერატურის მიმართულებით პროფესორი.
10. **მზია წიკლაური** - შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის ასოცირებული პროფესორი;
11. **ქეთევან ნანობაშვილი** - შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი;
12. **ნარგულ ასანიძე** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის აგროეკოლოგიისა და სატყეო საქმის დარგობრივი დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;
13. **ციური დურული** - სსიპ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის პროფესორი, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი;
14. **მაქსიმ იავიჩი** - შპს კავკასიის უნივერისტეტის პროფესორი, კიბერუსაფრთხოების ცენტრის ხელმძღვანელი;
15. **ქრისტინე ახალაძე** - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს იურიდიული სამმართველოს უფროსი;
16. **ვლადიმერ ადეიშვილი** - სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სწავლების მეთოდიკათა დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, პედაგოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმო მადგენლები:

- **ქეთევან ინანაშვილი**-უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადილე;
- **ლალი ოდიშვილი**-უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
- **ნანა კავლელაშვილი** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი:

შალვა ჭკადუა - უნივერსიტეტის რექტორი
სალომე თათულიშვილი - უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი
მზია ღაღოლიშვილი - აგრარულ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, საბაკალვრო პროგრამის ხელმძღვანელი
ნინო ვეფხიშვილი - სურსათის ტექნოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი
მედეა ორმოცაძე - სურსათის ტექნოლოგიის სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი
მარიამ ხოსიტაშვილი - სურსათის ტექნოლოგიის სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი
მანანა კევლიშვილი - პროფესორი

სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტი:

1. თეონა ხუფენია-რექტორის მოვალეობის შემსრულებელი;
2. ლევან მაკარაძე- პროგრამის ხელმძღვანელი;
3. ნინო მილაშვილი- პროგრამის თანახელმძღვანელი;
4. ქეთევან ლატარია- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი:

"ნავთობისა და გაზის ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

1. ვლადიმერ ღლონტი - პროფესორი, ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
2. გაიოზ ფარცხალაძე - პროფესორი, ბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი;
3. დავით ჩხაიძე - პროფესორი, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
4. გოჩა ჩავლეშვილი - პროფესორი, ბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი.

"სასურსათო ტექნოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

1. ვლადიმერ ღლონტი - პროფესორი, ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
2. გაიოზ ფარცხალაძე - პროფესორი, ბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი;
3. ალეკო კალანდია - პროფესორი, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
4. მერაბ არძენაძე - აკადემიური დოქტორი, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
5. გოჩა ჩავლეშვილი - პროფესორი, ბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;

სიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი:

1. მაკა ბერიძე- უნივერსიტეტის რექტორი;
2. ნინო მილაშვილი-უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
3. ლელა წითაშვილი-ფაკულტეტის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
4. ლევან მაკარაძე-პროგრამის ხელმძღვანელი;

პს საქართველოს უნივერსიტეტი :

1. არჩილ ჯანგირაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
2. ირინე იორამაშვილი - მეცნიერების და ტექნოლოგიების სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი;
3. თეონა ლაბარტყავა - მეცნიერების და ტექნოლოგიების სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი;
4. სულხან სულხანიშვილი - ინფორმატიკის დეპარტამენტის უფროსი, პროგრამის თანახელმძღვანელი
5. ვახტანგ ჩხენკელი - პროგრამის თანახელმძღვანელი;
6. ნიკოლოზ კაციტაძე - პროგრამის თანახელმძღვანელი;
7. სალომე ხაინდრავა - პროგრამის თანახელმძღვანელი;
8. ალექსანდრე სუდაძე - პროგრამის თანახელმძღვანელი;

აკრედიტაციის ექსპერტები:
ალვია სალასევიჩიენე (I საკითხი);
ეკატერინე კახნიაშვილი (I საკითხი);
ქრისტინე ჩიხლაძე (I, II,III,IV და V საკითხები);
თამარ ხუციშვილი (I საკითხი);
დიმიტრი გოგებაშვილი (II,V საკითხები);
ლევან ციცქიშვილი(II საკითხი);
ანჟელა აბულაძე (II და V საკითხები);
ინგა ბოჭოიძე (III საკითხი);
ია ნაცვლიშვილი (III საკითხი);
დავით ტეფნაძე (III საკითხი);
ეთერ სადაღაშვილი (IV საკითხი);
ქეთევან კინწურაშვილი (IV საკითხი);
გიორგი მელაშვილი (V საკითხი);
პაპუნა ქარჩავა (VI საკითხი);
გიორგი კუჭავა (VI საკითხი);
ნინო ღაჭავა (VI საკითხი);
მიხეილ ბიჭია (VI საკითხი);

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ **ლევან შავაძემ**.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გაცნო დღის წესრიგი:

1. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სურსათის ტექნოლოგიის" საბაკალავრო და "სურსათის ტექნოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ვეტერინარიის" ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ნავთობისა და გაზის ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სასურსათო ტექნოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. სიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ვეტერინარიის" ინტეგრირებული სამაგისტრო და "ვეტერინარიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. პს საქართველოს უნივერსიტეტის "ბლოკჩეინი დეცენტრალიზებული ინფორმაციული სისტემების" სამაგისტრო, "ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის" სამაგისტრო, "ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის" ინგლისურენოვანი სამაგისტრო, "კომპიუტერული მეცნიერების" სადოქტორო "კომპიუტერული მეცნიერების" საბაკალავრო, "კომპიუტერული მეცნიერების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო, "კომპიუტერული მეცნიერების" სამაგისტრო და "კომპიუტერული მეცნიერების" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
7. საქართველოს ტექნიკური უნივერისიტეტის „აგრარული ტექნოლოგიების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის, „აგრონომიის“ საგანმანათლებლო პროგრამის, „მეცხოველეობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის, „აგრალური ტექნოლოგიების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, „მეცხოველეობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, „სამკურნალო მცენარეები და მათი წარმოების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, „აგრონომიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის და „მეცხოველეობის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- **დიახ**

ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წევრებს გააცნო შუამდგომლობები: პირველი შუამდგომლობა ეხებოდა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მომართვას, რომლითაც ითხოვდა „კომპიუტერული მეცნიერების“ პროგრამისთვის ვადის გახანგრძლივების საკითხს; შემდეგი საკითხები იყო ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის "სურსათის ტექნოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის პირობითი აკრედიტაციისმინიჭებისშესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 28 ნოებრის #1693250 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორება და “ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის "განათლების მეცნიერების" ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ “ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 03 სექტემბრის №1065051 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორება

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სურსათის ტექნოლოგიის" საბაკალავრო და "სურსათის ტექნოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ვეტერინარიის" ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ნავთობისა და გაზის ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სასურსათო ტექნოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5.სიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ვეტერინარიის" ინტეგრირებული სამაგისტრო და "ვეტერინარიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. პს საქართველოს უნივერსიტეტის "ბლოკჩეინი დეცენტრალიზებული ინფორმაციული სისტემების" სამაგისტრო, "ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის" სამაგისტრო, "ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის" ინგლისურენოვანი სამაგისტრო, "კომპიუტერული მეცნიერების" სადოქტორო "კომპიუტერული მეცნიერების" საბაკალავრო, "კომპიუტერული მეცნიერების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო, "კომპიუტერული მეცნიერების" სამაგისტრო და "კომპიუტერული მეცნიერების" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
7. საქართველოს ტექნიკური უნივერისიტეტის „აგრარული ტექნოლოგიების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის, „აგრონომიის“ საგანმანათლებლო პროგრამის, „მეცხოველეობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის, „აგრალური ტექნოლოგიების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, „მეცხოველეობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, „სამკურნალო მცენარეები და მათი წარმოების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, „აგრონომიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის და „მეცხოველეობის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
8. სსიპ თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის „კომპიუტერული მეცნიერების“ პროგრამისთვის ვადის გახანგრძლივების საკითხის განხილვა.
9. ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის "სურსათის ტექნოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის პირობითი აკრედიტაციისმინიჭებისშესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 28 ნოებრის #1693250 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორება;
10. “ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის "განათლების მეცნიერების" ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ “ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 03 სექტემბრის №1065051 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ;

1.პირველი საკითხი: სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სურსათის ტექნოლოგიის" საბაკალავრო და "სურსათის ტექნოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: სურსათის ტექნოლოგია;
საფეხური: ბაკალავრიატი;
სწავლების ენა: ქართული;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:სურსათის ტექნოლოგიის ბაკალავრი;
დეტალური სფეროს კოდი: 0721.1.1 სასურსათო ტექნოლოგია;

სტატუსი: აკრედიტებული;
კრედიტები: 240;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: სურსათის ტექნოლოგია;
საფეხური:დოქტორანტურა;
სწავლების ენა: ქართული
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:სურსათის ტექნოლოგიის დოქტორი;
დეტალური სფეროს კოდი: 0721.1.1 სასურსათო ტექნოლოგია;
სტატუსი: აკრედიტებული;
კრედიტები: 30 ;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოსწევრ(ებ)ისაცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
ლევან შავაძე; თეა მჭედლური
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულე ბასთან.

აკრედიტაციის დებულების 27[2]-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომაზე საკითხის განხილვას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ქეთევან აფთარაშვილმა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა:
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს, წარმოედგინათ მათი პოზიცია.
აკრედიტაციის ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ განხორციელდა ადგილზე ვიზიტები და შეფასდა უნივერსიტეტის როგორც ადამიანური რესურსები, ისე ინფრასტრუქტურა. ორივე პროგრამა ძირითად საკითხებში მნიშვნელოვნად შეესაბამებოდა მოთხოვნებს, თუმცა არსებობდა თემებიც, რომლებიც „ნაწილობრივ“ შეფასდა.
პროგრამის კლასტერული შეფასებისას „სურსათის ტექნოლოგიების“ მიმართულებით დაფიქსირდა მოთხოვნებთან შესაბამისობა. განსაკუთრებით აღსანიშნავია მაღალკვალიფიციური პერსონალი და მათი აქტიური მონაწილეობა საერთაშორისო კვლევით პროექტებში. ასევე, შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები კარგად იყო ჩამოყალიბებული და ეფექტურად განხორციელებული.

ხაზი გაესვა დაწესებულების ინფრასტრუქტურასაც, განსაკუთრებით ღვინის მიმართულებით. პოზიტიურად შეფასდა სტუდენტებისა და ხელმძღვანელობის ურთიერთობა.
ამასთან, გამოიკვეთა გამოსასწორებელი მხარეებიც: აუცილებელია პროგრამების შესაბამისობის გაძლიერება მიზნებთან და სტრატეგიულ კვლევით პრიორიტეტებთან. ასევე, უნდა გაუმჯობესდეს პრაქტიკული და კვლევითი კომპონენტები, სადაც პრობლემას წარმოადგენს უნივერსიტეტის შედარებით მოძველებული ლაბორატორიული ინფრასტრუქტურა.
ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა პრაქტიკულ კომპონენტს, ვინაიდან სწავლება ძირითადად ლექციებსა და თეორიულ ცოდნაზეა დაფუძნებული, თუმცა აუცილებელია პრაქტიკული სწავლების ინტენსიური გამოყენება. უნივერსიტეტში ასევე გასავითარებელია უსაფრთხოების მიმართულება, რომელიც მოიცავს მიკრობიოლოგიისა და ბიოუსაფრთხოების საკითხებს.
ექსპერტმა აღნიშნა ვერტიკალური პროგრესიც: აუცილებელია მკაფიო განსხვავება საბაკალავრო და სადოქტორო სწავლებას შორის. სასწავლო პროცესი უნდა იყოს პროგრესული და ღია. საბოლოოდ, აღინიშნა, რომ ვიზიტი კოლეგიალურ გარემოში წარიმართა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, წარმოედგინათ მოსაზრებები
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დასკვნა ზედმეტად ორიენტირებული იყო ხარვეზების გამოკვეთაზე. ბუნებრივია, ხარვეზებზე ყურადღების გამახვილება ექსპერტთა ჯგუფის ფუნქციაა, თუმცა, როდესაც არგუმენტები საკმარისად არ არის წარმოდგენილი, რეკომენდაციები ნაკლებად ემსახურება პროგრამის განვითარებას. არგუმენტირებული პოზიციიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფმა რეკომენდაციების მნიშვნელოვანი ნაწილი გადაიტანა რჩევებში, ნაწილი კი საერთოდ ამოიღო, თუმცა ეს ცვლილება შეფასებით ნაწილზე გავლენას არ მოუხდენია. განხილვისას ყურადღება გამახვილდა პრაქტიკული და კვლევითი კომპონენტების ურთიერთშეთავსებასა და პროგრამის შინაარსში მათ ინტეგრაციაზე. აღინიშნა, რომ უნივერსიტეტი მუდმივად მუშაობს განვითარებაზე და ამ მიმართულებით ორიენტირებულია. რეკომენდაციებს, რომლებიც პროგრამის განვითარებას ემსახურება, უნივერსიტეტი იღებს და ითვალისწინებს, თუმცა ამ კლასტერში არსებობს რეკომენდაციების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელსაც დაწესებულება ვერ იზიარებს.
განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო 2.3 ქვესტანდარტს, სადაც რეკომენდირებულია სწავლების მეთოდებზე სტუდენტთა უკუკავშირის უზრუნველყოფა და მისი სისტემური ანალიზი კურსისა და პროგრამის დონეზე კორექტირებების განსასაზღვრად. წარმომადგენელმა ხაზი გაუსვა, რომ სტუდენტთა უკუკავშირის შეგროვება სხვადასხვა პლატფორმის საშუალებით უნივერსიტეტის შიდა მექანიზმია. ყოველი სემესტრის ბოლოს ტარდება ანონიმური გამოკითხვა, რომელიც მოიცავს მრავალფეროვან კითხვებს და ზომავს მნიშვნელოვან საკითხებს, მათ შორის ლექტორის მიერ სწავლების მეთოდების გამოყენებას. შედეგად, უნივერსიტეტში სისტემურად გროვდება უკუკავშირი სწავლების მეთოდებზე, მიღებული მონაცემები ჯამდება და გამოიყენება როგორც კურსის, ისე პროგრამის დონეზე. დაწესებულების აზრით, ეს სრულად უზრუნველყოფს რეკომენდაციის შესრულებას და შეესაბამება ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებს, სადაც სასწავლო პროცესის შეფასება ეფუძნება სტუდენტთა გამოკითხვებს.
ასევე იყო რეკომენდაცია პროგრამის შეფასების შედეგებსა და სწავლის შედეგების გაძლიერებაზე. დაწესებულება ამ რეკომენდაციას ვერ იზიარებს, რადგან შედეგების შეფასებისა და პროგრამის სწავლის შედეგების ურთიერთკავშირი უკვე უზრუნველყოფილია წინასწარ გაწერილი ხარისხის უზრუნველყოფის სისტემით, რომელიც ეფუძნება როგორც რაოდენობრივ, ისე თვისობრივ ინდიკატორებს. პროგრამის შეფასება ხორციელდება სტრუქტურული ელემენტების თანხვედრის პრინციპით, ხოლო მიღებული შედეგები გამოიყენება პროგრამის მონიტორინგისა და განვითარებისათვის.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო დოქტორანტის ხელმძღვანელების წახალისების საკითხსაც. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ ხელმძღვანელების წახალისებას სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებში. არსებობს დოკუმენტი, რომელიც შემუშავებულია წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ და სრულად ასახავს უნივერსიტეტის შესაძლებლობებს. დოკუმენტი განსაზღვრავს ხელმძღვანელების შეფასებისა და წახალისების ჩარჩოს, მოიცავს იმ აქტივობებს, რაც რეკომენდაციაშია ხაზგასმული, და განსაზღვრავს შეფასების მინიჭების ლოგიკასა და კრიტერიუმებს. შეფასება ხორციელდება ერთხელ დოქტორანტის მიერ, მაშინ, როდესაც ის საკმარისად კომპეტენტურია ხელმძღვანელის საქმიანობის შესაფასებლად. ხელმძღვანელთა წახალისება მიმართულია დოქტორანტების დამოუკიდებელი კვლევითი უნარებისა და ლიტერატურასთან მუშაობის განვითარებაზე.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დასკვნაში მითითებულია ლაბორატორიული აღჭურვილობა, რომლის განახლება საჭიროებად არის მიჩნეული. ამასთან დაკავშირებით განაცხადეს, რომ უნივერსიტეტი სრულ პასუხისმგებლობით უდგება განვითარების პროცესს და მზადაა გადადგას შესაბამისი ქმედითი ნაბიჯები. უნივერსიტეტს უკვე განხორციელებული აქვს მრავალმილიონიანი ინვესტიციები ლაბორატორიულ ინფრასტრუქტურაში, მათ შორის ქრომატოგრაფებში, რეაქტივებსა და სხვა მაღალი სტანდარბის აღჭურვილობაში. მსგავსი მასშტაბის ინვესტიცია სხვა მიმართულებებში შედარებით ნაკლებია, რაც განპირობებულია იმით, რომ უნივერსიტეტი სრულად აცნობიერებს პრაქტიკული კომპონენტის მნიშვნელობას. მიუხედავად იმისა, რომ განვითარების პოტენციალი კვლავ არსებობს, უნივერსიტეტი ამ ეტაპზე აკეთებს მაქსიმუმს. დამატებით, დაწესებულების მიზანია კახეთში შეიქმნას აკრედიტებული ლაბორატორია, რაც სტუდენტებს ადგილზე მისცემს პრაქტიკული საჭიროებების დაკმაყოფილების შესაძლებლობას. ამ მიმართულებით შესაბამისი სააკრედიტაციო განაცხადი უკვე შესულია სამინისტროში.
რაც შეეხება პირველ სტანდარტთან დაკავშირებულ რეკომენდაციას, რომელშიც აღნიშნულია პროგრამის მიზნებს, უნივერსიტეტის სტრატეგიულ კვლევით პრიორიტეტებსა და ეროვნული სასურსათო ჯაჭვის განვითარების მექანიზმებს შორის შესაბამისობის გაძლიერებისა და სისტემური დოკუმენტირების საჭიროება — დაწესებულება მიიჩნევს, რომ აღნიშნული რეკომენდაცია არ ასახავს ფაქტობრივ ვითარებას. პროგრამის მიზნებსა და უნივერსიტეტის სტრატეგიულ პრიორიტეტებს შორის კავშირი დეტალურადაა ასახული თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2025–31 წლების სტრატეგიულ განვითარების გეგმაში, რომელიც წარმოადგენს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვისა და განვითარების საფუძველს. უნივერსიტეტის მისიითა და სტრატეგიული განვითარების გეგმით ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებადაა განსაზღვრული აგრარული სფერო, მათ შორის წარმოება და გადამუშავება — რაც გამომდინარეობს რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საჭიროებებიდან. სტრატეგიული დოკუმენტი განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს შრომის ბაზრის მოთხოვნებზე მორგებული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებაზე, კვლევითი საქმიანობის გაძლიერებასა და ინოვაციური მიმართულებების მხარდაჭერაზე. აღნიშნული პრიორიტეტები უშუალოდ აისახება სურსათის ტექნოლოგიის კლასტერში შემავალი საბაკალავრო და სადოქტორო პროგრამების მიზნებში, რომლებიც შინაარსობრივად უკავშირდება სურსათის უსაფრთხოებას. შესაბამისად, რეკომენდაციით მოთხოვნილი შესაბამისობის დამატებითი დოკუმენტირება სრულად უზრუნველყოფილია როგორც მოქმედი სტრატეგიული გეგმით, ასევე პროგრამების დაგეგმვისა და განვითარების პრაქტიკით.
მეორე რეკომენდაცია, რომელიც პროგრამის სწავლის შედეგების შემდგომ სისტემატიზაციას ეხება, ასევე არ შეესაბამება არსებულ ვითარებას. უნივერსიტეტში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები დეტალურად არეგულირებს სწავლის შედეგების დაგეგმვის პროცესს, ინდიკატორების განსაზღვრას, მონაცემთა წყაროების იდენტიფიცირებასა და პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების როლების განსაზღვრას. შიდა ნორმატიული დოკუმენტი მიიჩნევს, რომ პროგრამების შეფასება ეფუძნება როგორც

რაოდენობრივ, ისე თვისობრივ ინდიკატორებს, რომლებიც შერჩეულია თითოეული პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. დოკუმენტი ასევე განსაზღვრავს, რომ კლასტერებად დაჯგუფებული პროგრამებისთვის შესაბამის კრიტერიუმებს ფაკულტეტის საბჭო ამტკიცებს კლასტერის ლოგიკის შესაბამისად. პროგრამების შეფასების გეგმას ადგენს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ხოლო პროცესის კოორდინაციას — უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რაც უზრუნველყოფს პასუხისმგებელ ერთეულთა მკაფიო განსაზღვრას. შეფასების პროცესში უკვე გათვალისწინებულია მონაცემთა მრავალფეროვანი წყაროები, როგორიცაა აკადემიური მოსწრება, დაინტერესებული მხარეების შეფასებები, დასაქმების სტატისტიკა და სხვა შესაბამისი ინდიკატორები, რის გამოც დამატებითი გეგმის შემუშავების აუცილებლობა არ დგება.
შემდეგი რეკომენდაცია ეხებოდა კურსისა და პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკების პრაქტიკული გამოყენების გაძლიერებას. დაწესებულების შეფასებით, ეს რეკომენდაციაც არ შეესაბამება ფაქტობრივ მდგომარეობას, რადგან კურსის შედეგების შესაბამისობა პროგრამის შედეგებთან მკაფიოდ არის წარმოდგენილი პროგრამის სამიზნე ნიშნულებსა და შესაბამის ინდიკატორებში, რაც ეფექტურად გამოიყენება ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში.
ასევე, რეკომენდაცია სწავლის შედეგების ვერტიკალური პროგრესიის წესების დაზუსტების შესახებ არ შეესაბამება რეალობას, რადგან სურსათის ტექნოლოგიის კლასტერში შემავალი საბაკალავრო და სადოქტორო პროგრამები სრულად შეესაბამება კვალიფიკაციის ჩარჩოს, დარგობრივ მახასიათებელსა და სადოქტორო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტს — რაც უზრუნველყოფს მეექვსე და მერვე დონის შესაბამისობას.
პრაქტიკებზე და ანალიტიკურ კომპონენტებზე დაფუძნებული სწავლების გაძლიერების რეკომენდაციაც არ ასახავს რეალურ მდგომარეობას. ბოლო წლებში უნივერსიტეტმა მნიშვნელოვანი ინვესტიცია ჩადო ლაბორატორიული ინფრასტრუქტურის განვითარებაში და აღჭურვა ლაბორატორიები თანამედროვე ტექნიკით, მათ შორის ციფრული ქრომატოგრაფებით, რომლებიც გამოიყენება სიღრმისეული კვლევებისთვის. სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა სრულფასოვნად განახორციელონ როგორც ლაბორატორიული, ისე პრაქტიკული აქტივობები სასწავლო კურსების შესაბამისად, რაც სრულად უზრუნველყოფს პროგრამის ეფექტურ მხარდაჭერას.
რეკომენდაცია პროგრამის დონეზე სწავლის შედეგების სტრუქტურირებული ჩარჩოს შემუშავების შესახებაც არ შეესაბამება ფაქტობრივ გარემოებებს. უნივერსიტეტში მოქმედებს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ჩამოყალიბებული მექანიზმები: თითოეული სასწავლო კურსის შედეგები ფასდება სტუდენტთა მიღწევების ანალიზის საფუძველზე, ხოლო კურსების დონეზე მიღებული მონაცემების აკუმულირება უზრუნველყოფს პროგრამის დონეზე დასკვნების მიღებასა და შემდგომი რეკომენდაციების შემუშავებას. თითოეული სემესტრის ბოლოს პროგრამის ხელმძღვანელი და ფაკულტეტის ხელმძღვანელი განახორციელებენ სტუდენტთა კითხვარს, რომლის ანალიზიც გამოიყენება პროგრამის გაუმჯობესებისთვის. ასევე რეგულარულად ხორციელდება სილაბუსების სტრუქტურის გადამოწმება შესაბამისი სტანდარტული ფორმის მიხედვით. შესაბამისად, აღნიშნული რეკომენდაცია დაწესებულებისთვის მისაღები არ არის.
შემდეგი რეკომენდაცია ეხება სწავლის შედეგების შეფასების ინტეგრირებას ხარისხის უზრუნველყოფის ციკლში. უნივერსიტეტში მოქმედებს სასწავლო კურსის ერთიანი შეფასების სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს კურსში გათვალისწინებული ყველა კომპონენტის სრულფასოვან შეფასებას. აღნიშნული მექანიზმი წარმოადგენს უნივერსიტეტის მასშტაბით ერთიან მიდგომას და მკაფიოდ მოქმედებს პრაქტიკაში.
შემდეგ რეკომენდაციაში საუბარია პროგრამის დონეზე ინდიკატორების განსაზღვრასა და მათ გამოყენებაზე ანალიტიკური სწავლების მიღწევების შესაფასებლად, ინდივიდუალური კურსის შეფასების ფარგლებს მიღმა. უნივერსიტეტი მიიჩნევს, რომ ეს რეკომენდაციაც ვერ ასახავს არსებულ რეალობას, რადგან სასწავლო კურსებში გამოყენებული შეფასების მეთოდები

მრავალფეროვანია — სემინარები, პრაქტიკული და ლაბორატორიული მეცადინეობები, ქეისები, ჯგუფური მუშაობა და სხვა. თითოეული მეთოდი სწორად შეერჩა კურსის შინაარსსა და სპეციფიკას. გარკვეულ კურსებში განმსაზღვრელ შეფასებასთან ერთად გათვალისწინებულია განმავითარებელი შეფასებაც. მაგალითად, „სანიტარულ-ჰიგიენური ფორმების დაცვასა და ბიოუსაფრთხოებაში“ მკაფიოდ ჩამოყალიბებულია, რომ გამოიყენება ორივე ტიპის შეფასება.

შემდეგი რეკომენდაცია უკავშირდება არსებული სილაბუსების გამოყენების სისტემატიზაციას. დაწესებულება განმარტავს, რომ კურსის შედეგების შესაბამისობა პროგრამის შედეგებთან სრულადაა ასახული პროგრამის სამიზნე ნიშნულებში, შესაბამის ინდიკატორებსა და მტკიცებულებებში, რაც გამოიყენება ხარისხის უზრუნველყოფის ინსტრუმენტად.

შემდეგ რეკომენდაციაში საუბარია სწავლების მეთოდების ორგანიზებაზე 2.1 სტანდარტში. აღნიშნული რეკომენდაცია რეალობას არ შეესაბამება, რადგან უნივერსიტეტში მოქმედებს პერსონალისა და სტუდენტების თანაფარდობისა და სტუდენტთა ზღვრული კონტინგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია. მისი საფუძველით განისაზღვრება მისაღები კონტინგენტის რაოდენობა როგორც საბაკალავრო, ისე სადოქტორო დონეზე. მიღების პოლიტიკის ძირითადი კომპონენტები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და შესაბამისი რეგულაციებით, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებთან თავსებად წინაპირობებს. დაწესებულების შეფასებით, მხოლოდ სტუდენტთა პროგრესისა და დასრულების მაჩვენებლების საფუძველზე დამატებითი შეზღუდვების შემოტანა ვერ განიხილება ხარისხის გაუმჯობესების ეფექტიან მექანიზმად. დოქტორანტურის საფეხურზე კი მიღებისა და კრიტერიუმების გადახედვის პროცესები აქტიურად მიმდინარეობს.

შემდეგ რეკომენდაციას შეეხება კლასტერში პრაქტიკული და კვლევითი უნარების განვითარების სისტემატიზაციას. დაწესებულება აღნიშნულს არ ეთანხმება, რადგან „სურსათის ტექნოლოგიების“ საბაკალავრო და სადოქტორო პროგრამების აღწერილობაშიც და სილაბუსებშიც მკაფიოდ ასახულია პრაქტიკული, კვლევითი და ზოგადპროფესიული უნარები, რომლებიც უზრუნველყოფილია ლაბორატორიული და პრაქტიკული მეცადინეობებით. ბოლო წლებში უნივერსიტეტმა მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა ლაბორატორიული ინფრასტრუქტურის გაძლიერებისთვის, აღიჭურვა მაღალი ღირებულების აპარატურით, რომელიც გამოიყენება სიღრმისეული კვლევებისთვის. ასევე, უნივერსიტეტის ლაბორატორიებში შექმნილია სათანადო პირობები, სადაც სტუდენტები იღებენ შესაძლებლობას სრულად განახორციელონ მათთვის გათვალისწინებული პრაქტიკული აქტივობები. მიკრობიოლოგიის ლაბორატორიაში უზრუნველყოფილია მაღალი დონის ბიოუსაფრთხოება. ფაკულტეტზე ფუნქციონირებს ქიმია-ტექნოლოგიის ლაბორატორია, სადაც სტუდენტები იძენენ საბაზისო ლაბორატორიულ უნარებს. მზადყოფნაშია კვლევითი ლაბორატორიაც შესაბამისი ინფრასტრუქტურით.

შემდეგი რეკომენდაცია ეხება არსებული ლაბორატორიული ინფრასტრუქტურისა და დაგეგმილი პრაქტიკული/კვლევითი საქმიანობის მასშტაბებს შორის შესაბამისობის განმტკიცებას. აღნიშნულიც ვერ ასახავს რეალურ ვითარებას, რადგან დაწესებულება ბოლო წლებში აქტიურად ახორციელებს ლაბორატორიების მოდერნიზაციასა და ინფრასტრუქტურის გაძლიერებას.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სადოქტორო პროგრამასთან მიმართებით პირველი რეკომენდაცია ეხებოდა პროგრამის სასწავლო შედეგებსა და კვლევით პროდუქტებს შორის კავშირის გაძლიერებას. დაწესებულება აღნიშნულს არ ეთანხმება, რადგან დოქტორანტურის პროგრამაში აღნიშნული კავშირი უკვე მკაფიოდ, სავალდებულოდ და დოკუმენტურად არის განსაზღვრული. დოქტორანტს კვლევის პროცესში ევალება მინიმუმ სამი პუბლიკაციის მომზადება და გამოქვეყნება, მათ შორის ერთი — საერთაშორისო სამეცნიერო ბაზაში ინდექსირებულ ჟურნალში. 2024 წლიდან ეს მოთხოვნა წარმოადგენს

სავალდებულო წინაპირობას დისერტაციის წარდგენისთვის. შესაბამისად, აღნიშნული ნორმები სწორად ასახავს იმ საორიენტაციო ნიშნულებს, რომელთა განსაზღვრასაც რეკომენდაცია ითხოვს, რაც გამორიცხავს დამატებითი გაძლიერების საჭიროებას.
განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ პროგრამის კვლევითი კომპონენტი — „კოლოქვიუმი 1“ და „კოლოქვიუმი 2“ — მოითხოვს დოქტორანტის მიერ უკვე გამოქვეყნებული ან გამოქვეყნებისთვის მომზადებული სამეცნიერო სტატიების წარმოდგენას. აღნიშნული შეფასების ფორმატი უზრუნველყოფს, რომ კვლევითი პროდუქტი არა მხოლოდ საბოლოო შედეგია, არამედ წარმოადგენს შეფასების პროცესის შემადგენელ ნაწილს, რაც პირდაპირ უკავშირდება პროგრამის სწავლების შედეგებს.
შემდეგი რეკომენდაცია ეხებოდა ბაკალავრიატისა და დოქტორანტურის სილაბუსებს შორის დონეთა დიფერენცირების დოკუმენტური დასაბუთების გაძლიერებას. დაწესებულება აღნიშნულს არ ეთანხმება, ვინაიდან სადოქტორო საფეხურის სილაბუსები მკაფიოდ ორიენტირებულია დამოუკიდებელ კვლევაზე, კრიტიკულ ანალიზზე და ახალი ცოდნის შექმნაზე, მაშინ როდესაც ბაკალავრიატის კურსები ფოკუსირებულია საბაზისო ცოდნის მიღებასა და გამოყენებით უნარებზე. დონეების დიფერენცირება ნათლად გამოიხატება როგორც კვლევითი კომპონენტის მოცულობაში, ისე შეფასების მექანიზმში. მაგალითად, თუ ბაკალავრიატის დონეზე „სურსათის ბიოლოგიის“ კურსში ისწავლება საფუარისა და ბაქტერიების კლასიფიკაცია, სადოქტორო საფეხურზე ბიოტექნოლოგიის კურსი მოიცავს მიკრობული სელექციის უფრო რთულ ანალიზებს და მუშაობას მაღალტექნოლოგიურ ლაბორატორიულ მოწყობილობებზე.
პანელის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფი აფასებს ადმინისტრაციის ჩართულობას, თუმცა დასკვნა ემყარება მრავალმხრივ შეფასებასა და ყველა დაინტერესებული მხარის მოსაზრებებს. შესაბამისად, რეკომენდაციების შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გამოვლენილი გარემოებები არ ემყარებოდა მრავალწყაროიან შეფასებას. პანელის პოზიცია უცვლელი რჩება და მნიშვნელოვანია, რომ დაწესებულებამ გადახედოს სწავლების შედეგების და წარმოდგენილი რეკომენდაციების გათვალისწინებით განახორციელოს გაუმჯობესების მიზნობრივი ნაბიჯები.
დაფინანსების წყაროებზე გაკეთებულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დოქტორანტები აქტიურად მონაწილეობენ როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო საგრანტო კონკურსებში, რაც უზრუნველყოფს კვლევების დაფინანსების მოპოვების შესაძლებლობას. დაწესებულება უზრუნველყოფს მათ დროულ ინფორმაციას მიმდინარე კონკურსების შესახებ. შესაბამისად, აღნიშნული რეკომენდაცია რეალიზებული პრაქტიკის შესაბამისია.
შემდეგი რეკომენდაცია ეხებოდა დოქტორანტურის მონიტორინგის შედეგების სტრუქტურირებული მექანიზმების დანერგვას. დაწესებულება აღნიშნულს ვერ ეთანხმება, რადგან უნივერსიტეტში უკვე მოქმედებს სტრუქტურულად ჩამოყალიბებული, ეფექტური მონიტორინგის სისტემა, რომელიც აფასებს როგორც დოქტორანტის სამეცნიერო პროგრესს, ისე ხელმძღვანელის ჩართულობის ხარისხს.
შეფასების პოლიტიკის დახვეწასთან დაკავშირებული რეკომენდაციის საპასუხოდ დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი კვირების მიხედვით არის გაწერილი, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის მიერ შესასრულებელი აქტივობების მკაფიო განსაზღვრას. კურსებში პრაქტიკული სამუშაოები განაწილებულია კვირების მიხედვით და მათი შეფასება ხდება უწყვეტ რეჟიმში. სტუდენტი წინასწარ იცნობს შეფასების ფორმატს, მათ შორის იმას, რომ პრაქტიკული კომპონენტი წარმოადგენს ქულის 50%-ს, ხოლო თეორიული ნაწილი — დანარჩენ 50%-ს. ყურადღება გამახვილდა მიკრობიოლოგიური ლაბორატორიების მნიშვნელობაზეც, რომლებიც აუცილებელია როგორც მიკრობიოლოგებისთვის, ისე მეღვინეთათვის. აქედან გამომდინარე, ლაბორატორიებში მაღალი დონის უსაფრთხოების უზრუნველყოფა წარმოადგენს მუდმივ პრიორიტეტს.

დასასრულ, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საკითხების შეჯერებული ანალიზი არ იძლევა საფუძველს რეკომენდაციების ძალაში დარჩენისთვის, რადგან ყველა მოთხოვნილი საკითხი დაწესებულების მიერ დოკუმენტურად დაადასტურებულია. დამატებით, დამსაქმებლების ნაწილი სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას ჩაერთონ უნივერსიტეტის კვლევით პროექტებში, რაც კიდევ უფრო აძლიერებს პრაქტიკული და კვლევითი უნარების განვითარებას.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წარმომადგენელმა პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით ექსპერტებს დაუსვა კითხვა. მან აღნიშნა, რომ აღნიშნული საკითხი მხოლოდ რეკომენდაციებში კი არ გვხვდება, არამედ რჩევებშიც არის გამეორებული, რაც დუბლირების შთაბეჭდილებას ქმნის. შესაბამისად, მას აინტერესებდა ექსპერტთა კომენტარი. ასევე, 1.4 სტანდარტთან მიმართებით შეფასება შესრულებულია „მეტწილად შესაბამისი“-ს ფორმულირებით, თუმცა არცერთი რეკომენდაცია არ არის წარმოდგენილი. საბჭოს წევრს საინტერესო იყო, რა ახსნა ჰქონდა ამის მსაჯული ექსპერტების მხრიდან. დამატებით, დოქტორანტურის მიმართულებით მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ დაწესებულებაში არსებობს კვლევის პროგრესიის მექანიზმები, ამიტომ მას აინტერესებდა, რა გახდა ამ საკითხზე რეკომენდაციის გაცემის საფუძველი. ექსპერტმა განმარტა, რომ 4.5 ქვესტანდარტში იყო რეკომენდაციები, თუმცა საბოლოო დასკვნაში ისინი რჩევების ნაწილში გადავიდა, რაც წარმოადგენს ტექნიკურ უზუსტობას. საბჭოს წევრმა 1.3 სტანდარტთან მიმართებით აღნიშნა, რომ რეკომენდაცია ითხოვს სწავლის შედეგების შეფასების ჩარჩომექანიზმის შემუშავებას, მაშინ როცა წარმოდგენილი მასალებით ასეთი მექანიზმი უკვე არსებობს. მას აინტერესებდა, იყო თუ არა რეკომენდაციის მიზანი არსებული მექანიზმის გაუმჯობესება და რა იყო ექსპერტების არგუმენტი. ექსპერტმა განმარტა, რომ კომისიის თავმჯდომარის აზრით, რეკომენდაციების მიზანი არის განვითარებაზე ორიენტირებული მიდგომა, თუმცა დოკუმენტურად წარმოდგენილი მასალა მთლიანად გამართულია. ექსპერტებმა ყველა მოთხოვნილი დოკუმენტი მიიღეს და შეაფასეს. ასევე აღინიშნა, რომ 1.3 კომპონენტის შეფასება ძირითადად განახორციელა უცხოელმა ექსპერტმა. მიუხედავად იმისა, რომ რეგულაციებისა და შიდა მექანიზმების დონეზე დაწესებულებაში მრავალი პროცესი სისტემურად და გამართულად არის დოკუმენტირებული, გარკვეული ხარვეზები გამოვლინდა შეფასების რუკებში. კერძოდ, ზოგიერთი შედეგი არ იყო მკაფიოდ ასახული, ზოგი — გაიმეორა ბაკალავრიატისა და დოქტორანტურაზე, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში დაკარგული იყო ლოგიკური ბმა შედეგებსა და ინდიკატორებს შორის. ექსპერტების შეფასებით, უნივერსიტეტი განვითარებაზე ორიენტირებული დაწესებულებაა და აღნიშნული ხარვეზების გამოსწორებაც წარიმართება განვითარებრივ სვლაში. საბჭოს წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ 1.2 სტანდარტთან მიმართებით პირველივე რეკომენდაციაში საუბარია პროგრამის სწავლის შედეგების უფრო სისტემატიზაციის საჭიროებაზე. მისი აზრით, აღნიშნული რეკომენდაცია არასწორ სტანდარტშია გაწერილი და შემდეგ მეორდება 1.3 სტანდარტში, სადაც განხილვის საგანი სწორედ მექანიზმები უნდა იყოს. ამიტომ მან დაწესებულებას ჰკითხა, განხორციელდა თუ არა სწავლის შედეგების შეფასება რაიმე დონეზე და რამ გამოიწვია რეკომენდაციის გაჩენა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემებში მკაფიოდ არის გაწერილი და მათი განხორციელება ხდება თითქმის ყოველ სემესტრში. ეს მოიცავს ABCD სისტემით სასწავლო კურსების შეფასებას. ინდივიდუალური კურსების შეფასებების ერთობლიობის ანალიზი გამოიყენება იმის დასადგენად, მიაღწია თუ არა პროგრამამ სამიზნე შედეგებს. აღნიშნულ მექანიზმს დაწესებულება ზედმიწევნით მიჰყვება. უკვე არსებობს შედეგების ანალიზის ანგარიში, რომელშიც წარმოდგენილია როგორც შეფასება, ისე შემდგომი რეკომენდაციები.

ამ პროცესის შედეგად სადოქტორო პროგრამას დაემატა სასწავლო კურსი „კვლევის ეთიკა და კეთილსინდისიერება“, ხოლო სილაბუსებში მუდმივად მიმდინარეობს თემატიკისა და გამოყენებული ლიტერატურის განახლება.
საბჭოს წევრმა 2.2 ქვესტანდარტთან დაკავშირებით კითხვით მიმართა ექსპერტებს. აღნიშნული ქვესტანდარტის ფარგლებში გაცემული იყო რეკომენდაცია, რომელიც გულისხმობს მსუბუქ მტკიცებულებებზე დაყრდნობით მონიტორინგის მექანიზმის დანერგვას განვითარების ეფექტიანობის შესაფასებლად. საბჭოს წევრის განმარტებით, დაწესებულებაში მსგავსი მექანიზმი უკვე არსებობს, ამიტომ მას აინტერესებდა, კონკრეტულად რას გულისხმობდა რეკომენდაცია. ასევე, სტუდენტთა შეფასების ნაწილში მითითებული იყო შეფასების პოლიტიკის გაუმჯობესების რეკომენდაცია, რის მიზეზებზეც ის ინტერესდებოდა. დამატებით, მეხუთე სტანდარტი შეფასებულია „მეტწილად შესაბამის“-ად, თუმცა ექსპერტების მიერ წარმოდგენილ აღწერით ნაწილში მაღალი ხარისხის ინფორმაცია იყო ასახული, რაც საბჭოს წევრისთვის გარკვეულ კითხვებს აჩენდა.
ექსპერტმა განმარტა, რომ ხარისხის მიმართულებით გაცემული რეკომენდაციები უკავშირდებოდა ლაბორატორიების ფუნქციონირების საკითხებს, სწავლის შედეგების შეფასების პროცესის გაუმჯობესებასა და დაინტერესებული მხარეების მეტად აქტიურ ჩართულობას.
საბჭოს წევრს დამატებით აინტერესებდა დოქტორანტების ხელმძღვანელთა წახალისების შესახებ რეკომენდაციის საფუძველი, კერძოდ — ნახა თუ არა ექსპერტთა ჯგუფმა შესაბამისი დოკუმენტი და გამოიყენებოდა თუ არა ის დაწესებულებაში.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ დოკუმენტი ნამდვილად არსებობს, თუმცა წარმოდგენილი CV-ების განხილვის შემდეგ რეკომენდაცია გამოითქვა იმის თაობაზე, რომ პერსონალის უფრო ინტენსიური ჩართულობა სამეცნიერო საქმიანობაში.
საბჭოს წევრმა ასევე იკითხა, განხორციელებული ჰქონდა თუ არა დაწესებულებას სვოტანალიზი.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროგრამისთვის სვოტანალიზი მომზადებულია. დოკუმენტი შიდა მოხმარებისათვისაა განკუთვნილი, თუმცა მოთხოვნის შემთხვევაში მისი წარდგენა შესაძლებელია.
საბჭოს წევრს რამდენიმე კითხვა ჰქონდა სტილისტიკასა და ტერმინოლოგიასთან დაკავშირებით. მიზნებში გამოყენებული იყო ფორმულირება: „სტუდენტმა დააორგანიზოს სურსათის კვლევის ტრადიციული და თანამედროვე მეთოდები.“ მისი შეფასებით, „მეთოდების ორგანიზება“ შინაარსობრივად არაზუსტია, რადგან მეთოდი ან გამოიყენება, ან იქმნება, მაგრამ არ ორგანიზდება. ანალოგიურად, ერთ-ერთ შედეგში მითითებული იყო: „ჩამოთვლის, აღწერს და აყალიბებს ... პროცესებს.“ ფორმულირება „აყალიბებს პროცესებს“ არასწორია და საჭიროებს შესწორებას. მესამე შედეგში გამოყენებული იყო ცნება „კვლევა“, რომელზეც საბჭოს წევრს აინტერესებდა — იგულისხმებოდა ანალიზის ჩატარება თუ რეალური კვლევითი პროცესი. მეხუთე შედეგში გამოყენებული იყო: „ახორციელებს ... კვლევითი მითითებების პროექტს“, რაც ასევე არაზუსტ ფორმულირებად მიიჩნია, რადგან გამომდინარე იქნებოდა, თითქოს სტუდენტი თავად ახორციელებს ნაშრომს.
ასევე აღინიშნა, რომ „არაორგანული ქიმიის“ კურსში ლაბორატორიული მეცადინეობა არყოფს. საბჭოს წევრს აინტერესებდა, მთლიანობაში რამდენი საათი ეთმობა ლაბორატორიულ სამუშაოებს. დამატებით კითხვად დაისვა, რა პრინციპით გაერთიანდა ანალიზური და კოლოიდური ქიმია და რატომ არ იყო წარმოდგენილი ფიზიკური ქიმია.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ანალიზურ ქიმიასთან ერთად კოლოიდური ქიმიაც მნიშვნელოვანია. კოლოიდური ქიმიიდან პროგრამაში შეტანილია მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც სურსათის ტექნოლოგიების მიმართულებით არის აუცილებელი და პრაქტიკულად საჭირო.
საბჭოს წევრმა ასევე აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულება ხშირად აღნიშნავს ქრომატოგრაფების არსებობას, ბაკალავრიატის ლაბორატორიულ მეცადინეობებში მათი

გამოყენება არსად არის ასახული. გარდა ამისა, ანალიზურ და კოლეგიურ ქიმიაში სილაბუსების ტერმინოლოგია უნდა იყოს ზუსტად ჩამოყალიბებული, რადგან სტუდენტები სწორედ ამ დოკუმენტებს ეყრდნობიან. ასევე მისი ყურადღება მიიპყრო ლაბორატორიულ მეცადინეობამდე მითითებულმა შეფასების მეთოდმა — „გამოკითხვა“. მას აინტერესებდა, კონკრეტულად რას გულისხმობდა აღნიშნული ფორმულირება. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სილაბუსის ფორმა სტანდარტიზებულია და მასში მითითებულია, რომელი კრიტერიუმებით ხდება სტუდენტების შეფასება. საბჭოს წევრმა მიუთითა, რომ კოლოიდური ქიმიის ლაბორატორიული ნაწილი მხოლოდ ერთსაათიანია და დაწესებულების პოზიცია ამასთან დაკავშირებითაც მოსთხოვა. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ კვირაში სამიდან ერთი შესვლა ლექციაა, ხოლო ორი — პრაქტიკული. ამ პრაქტიკულებიდან ზოგი მთლიანად ლაბორატორიულ სამუშაოებს ეთმობა, ზოგჯერ კი ნაწილდება ლაბორატორიულ და პრაქტიკულ აქტივობებს შორის — რაც დამოკიდებულია თემატიკაზე.
საბჭოს წევრმა „კვების პროდუქტების ტექნოლოგიის“ მიმართულებით აღნიშნა, რომ ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, შესაბამისი ლაბორატორია ტექნიკურად დასრულებული არ არის. ერთადერთი მოქმედი ლაბორატორია დაკავშირებულია მცენარეულ ნედლეულში ტოქსიკური ელემენტების ანალიზთან. მან აღნიშნა, რომ დასკვნაში დაფიქსირებული ფორმულირება არათვალსაჩინო აღმოჩნდა — „ტოქსიკური ელემენტები“ თუ „ტოქსიკური ნივთიერებები“. ასევე, დაისვა კითხვა: რა ტიპის პრაქტიკული სამუშაოები ტარდება ამ ლაბორატორიაში.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ დაწესებულება მიჰყვება სილაბუსებში გაწერილ გეგმას და უზრუნველყოფს, რომ პრაქტიკული სამუშაოები შესრულდეს ზუსტად იმგვარად, როგორც დოკუმენტშია განსაზღვრული.
საბჭოს წევრს დამატებით შეკითხვები ჰქონდა ბიოქიმიის კურსთან. მან იკითხა, რას გულისხმობდა ტერმინი „ბიოელემენტები“.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ იგულისხმება ექვსი ძირითადი ბიოელემენტი.
ასევე აღინიშნა, რომ რიგ კურსებში მითითებულია მოძველებული სახელმძღვანელოები, რაც გარკვეულ შემთხვევებში მისაღებია, თუმცა საბჭოს წევრს აინტერესებდა, რატომ იყო გამოყენებული რუსული სახელმძღვანელოები, რომელთა საჭიროება აღარ არსებობს. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ რუსულენოვანი წყაროებიდან გამოყენებულია მხოლოდ მცირე ამონაწერები, ამიტომ ისინი ლიტერატურის სიაში აღარ არის მითითებული.
ბიოქიმიის კურსთან დაკავშირებით საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ ერთ-ერთ ლაბორატორიულ მუშაობაში მითითებულია „საგნების კლასიფიკაცია ცოცხალ და არაცოცხალ ბუნებაში“, რაც ზედმეტად მარტივი ფორმულირებაა. ექსპერტს აინტერესებდა, იყო თუ არა ეს პრაქტიკული სამუშაო.
დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ აღნიშნული მართლაც არის პრაქტიკული სამუშაო და მიუხედავად მარტივი ფორმულირებისა, მისი განხორციელება მნიშვნელოვანია.
საბჭოს წევრმა ასევე აღნიშნა, რომ ლაბორატორიულ მუშაობებში შედის წყალბადის კონცენტრაციის განსაზღვრა და მჟავაში ინდიკატორის გამოყენება, რაც სინამდვილეში ანალიზური ქიმიის თემაა და ნაკლებად შეესაბამება ბიოქიმიის მიმართულებას. ასევე იკითხა, რატომ იყო „ორგანული ქიმია“ წინაპირობად მითითებული „ლუდის წარმოების ტექნოლოგიის“ კურსისთვის.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ეს გადაწყვეტილება მიღებულია კურსის ხელმძღვანელის მიერ.
საბჭოს წევრი დაინტერესდა, რატომ არის „საბაკალავრო ნაშრომის“ წინაპირობად მითითებული „ღვინის ტექნოლოგია“, მაშინ როდესაც შესაძლებელია სტუდენტს

არალკოჰოლური სასმელების მიმართულებით მუშაობის სურვილი ჰქონდეს. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ „ღვინის ტექნოლოგია“ ერთადერთი წინაპირობა არ არის. ყველა სასურსათო ტექნოლოგიის კურსი წარმოადგენს საბაკალავრო ნაშრომის წინაპირობას.
სადოქტორო პროგრამის განხილვისას საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას აქვს წინასწარი დაცვის ფორმატი. მას აინტერესებდა, რამდენჯერ და როგორ ფორმატში უწევს დოქტორანტს წინასწარი დაცვის ჩატარება.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროცესში შედის ერთი შუალედური და ერთი საბოლოო წინასწარი დაცვა. ამ შეფასებების შედეგად დოქტორანტს გადაეცემა შენიშვნები, რომლებიც უნდა ასახოს საბოლოო კვლევაში.
საბჭოს წევრს აინტერესებდა ავტორეფერატის მნიშვნელობა თანამედროვე კონტექსტში.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ავტორეფერატში მკაფიოდ და მოკლედ არის წარმოდგენილი კვლევის მიზანი, აქტუალობა, ექსპერიმენტების მიმდინარეობა და ძირითადი შედეგები. ეს ქმნის უფრო მარტივ და ხელმისაწვდომ ფორმატს ფართო საზოგადოებისათვის, რომლებიც შესაძლოა დაესწრონ საჯარო დაცვას.
საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ მიუხედავად ამისა, შემფასებელი კომისია ვალდებულია გაეცნოს სრულ ნაშრომს.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ავტორეფერატს არ აქვს განკუთვნილება მხოლოდ შემფასებელი კომისიისთვის. ის წარმოადგენს საჯარო დოკუმენტს, რომელიც განკუთვნილია ფართო აუდიტორიისთვის. ხარისხის მინიჭება ავტორეფერატის საფუძველზე არ ხდება.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყებისდრო: 13:21
დასრულებისდრო: 14:06
საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სურსათის ტექნოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებისათვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრისშედეგი:
მომხრე -14
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,საბჭომ იმსჯელა და ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება, რომ სსიპ თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სურსათის ტექნოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარდგენის პირობით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სურსათის ტექნოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი — ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე -14
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,საბჭომ იმსჯელა და ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება, რომ სსიპ თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სურსათის ტექნოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარდგენის პირობით.

საბჭოს სხდომა დატოვა ვაჟა კელიხაშვილმა, აკრედიტაციის დებულების თანახმად სხდომის მდივნად განისაზღვრა საბჭოს წევრი ციური დურული.

2. მეორე საკითხი: სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ვეტერინარიის" ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ვეტერინარია;
საფეხური:მაგისტრატურა;
სწავლების ენა: ქართული;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:ვეტერინარიის მაგისტრი;
დეტალური სფეროს კოდი: 0841 ვეტერინარიის მაგისტრი;(ინტეგრირებული სამაგისტრო)
სტატუსი: აკრედიტებული;
კრედიტები: 308;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
ვლადიმერ ადეიშვილი

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულე ბასთან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
რადგან სხდომას ვერ ესწრებოდა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, თარჯიმანმა საბჭოს გააცნო მისი წერილი: შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტში „ვეტერინარიის“ ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა არის ყოვლისმომცველი სასწავლო გეგმა, რომელიც აჩვენებს ეროვნული აკრედიტაციის სტანდარტებთან სრულ შესაბამისობას, რასაც ადასტურებს მისი ამჟამინდელი აკრედიტებული სტატუსი. პროგრამის სტრუქტურა ძლიერია და მნიშვნელოვან 75%-ს უთმობს ძირითად სპეციალიზაციასა და კვლევით კომპონენტს, მათ შორის 20-კრედიტიან სამაგისტრო ნაშრომს. მნიშვნელოვანი მიღწევაა პროგრამის მიერ სავალდებულო, ობიექტურად სტრუქტურირებული პრაქტიკული და კლინიკური გამოცდების პროაქტიული განხორციელება 12 საგანში კომპლექსური შედეგების შესაფასებლად. პროგრამა წარმატებით აკმაყოფილებს წინა აკრედიტაციის რეკომენდაციებს. მას მხარს უჭერს კვალიფიციური და სტაბილური ადამიანური რესურსი, რომელიც ბოლო 5 წლის განმავლობაში მაღალი სამეცნიერო პროდუქტიულობით გამოირჩევა. თუმცა, ორი ძირითადი სფერო საჭიროებს სტრატეგიულ კონცენტრირებას — უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული სასწავლო ვეტერინარული კლინიკისა და მუდმივი ამბულატორიული კლინიკის შექმნა თანამედროვე პრაქტიკული სწავლების სტანდარტების დასაკმაყოფილებლად და გრძელვადიანი (5 ან 7 წლიანი) ფინანსური გეგმის შემუშავება ინფრასტრუქტურისა და კვლევის მდგრადობის უზრუნველსაყოფად არსებული სამოქმედო გეგმის მიღმა.
ა) პირველი ნაწილი — ინფრასტრუქტურული ინვესტიციები და სასწავლო ინოვაციები: უნივერსიტეტი ავლენს რესურსებით უზრუნველყოფისადმი ერთგულებას და ახორციელებს მატერიალური ბაზის შესაბამისი განვითარებისთვის მნიშვნელოვან ძალისხმევას. მატერიალური რესურსები ადეკვატურია და ექვემდებარება მუდმივ გაუმჯობესებას, რასაც ადასტურებს რენტგენის აპარატის შეძენა და საერთაშორისო კვლევითი პროექტების ფარგლებში ლიტერატურის განახლება. ინფრასტრუქტურის განვითარების 2023–25 წლების სამოქმედო გეგმის ოფიციალური დამტკიცება მიუთითებს რესურსების გაძლიერების გრძელვადიან სტრატეგიაზე, რომელიც ითვალისწინებს წინა რეკომენდაციებს. სენაკის სასწავლო ბაზა წარმოადგენს პრაქტიკული სწავლების ცენტრალურ პლატფორმას, რომელიც სტუდენტებს მრავალფეროვანი პრაქტიკული უნარების შეძენის შესაძლებლობას აძლევს სხვადასხვა ცხოველებთან — მათ შორის მსხვილფეხა, წვრილფეხა პირუტყვთან, ფრინველთან და მწერთან მუშაობისას. თუმცა, პროგრამას ამჟამად არ აქვს საკუთარი სასწავლო ვეტერინარული კლინიკა და კლინიკის სიმულაციური ზონა სრულად აღჭურვილი არ არის, რაც თანამედროვე ვეტერინარული სტანდარტების დაკმაყოფილების მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს. რეკომენდებულია კლინიკური სასწავლო ბაზის გაძლიერება სასწავლო

ვეტერინარული კლინიკის შექმნის გზით. 2025 წელს შოთა მესხიას სახელობის ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტს მიეცა ფინანსური შესაძლებლობა ააშენოს სასწავლო ვეტერინარული კლინიკა, რომელიც იქნება პროფესიული ან მუდმივი ამბულატორიული კლინიკა და ინტეგრირებული იქნება პრაქტიკულ და კვლევით პროცესებში. გარდა ამისა, OSP პრაქტიკული შეფასების ინფრასტრუქტურა საჭიროებს გაუმჯობესებას — არსებული რესურსების გარდა აუცილებელია დამატებითი ტექნიკური შესაძლებლობების უზრუნველყოფა.

პროგრამის სტრუქტურა ლოგიკური და ინტეგრირებულია, რაც უზრუნველყოფს, რომ საბაზისო ცოდნა წინ უსწრებდეს მის პრაქტიკულ გამოყენებას. ყველაზე მნიშვნელოვანი ინოვაციაა 12 სასწავლო კურსზე სავალდებულო, ობიექტურად სტრუქტურირებული პრაქტიკული და კლინიკური გამოცდების დანერგვა, რაც უზრუნველყოფს სტანდარტიზებულ და საიმედო მეთოდს კლინიკური კომპეტენციების შეფასებისთვის და ითვალისწინებს წინა აკრედიტაციის დროს გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრას. ამ ძლიერ მხარეებთან ერთად რეკომენდებულია სასწავლო გეგმისა და სწავლის შეფასების გეგმის სისტემატური გადახედვა, რათა გამოსწორდეს გამოვლენილი შინაარსობრივი და ლოგიკური შეუსაბამობები და პროგრამის დოკუმენტაციაში უზრუნველყოფილი იყოს სრულყოფილი შიდა თანმიმდევრულობა. პრაქტიკული ტრენინგისთვის რეკომენდებულია შინაარსის გაფართოება ფრინველის, ფუტკრისა და სხვა კულტურების წარმოების ობიექტებით, რათა სტუდენტებს მიეცეთ უფრო ფართო პრაქტიკული გამოცდილება.

ბ) მეორე ნაწილი — ადამიანური რესურსების სტაბილურობა და კვლევითი შედეგი: პროგრამა ფუნქციონირებს სტაბილური და კვალიფიციური ადამიანური რესურსებით. პროგრამის პერსონალი სულ 43 ადამიანია, მათ შორის 21 მოწვეული სპეციალისტი, რაც უზრუნველყოფს კადრების სტაბილურობას და გრძელვადიან თანამშრომლობას. უნივერსიტეტში ძლიერი ლიდერობაა — პროგრამის ხელმძღვანელსა და თანადირექტორს აქვთ ფართო სამეცნიერო და პედაგოგიური გამოცდილება და აქტიურად არიან ჩართულნი საერთაშორისო პროექტებში, მათ შორის „ერასმუს პლუსში“. პროგრამას საკმარისი ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალი უზრუნველყოფს. მაგისტრანტების სამეცნიერო ხელმძღვანელობა მაღალ დონეზეა განაწილებული — თითო სტუდენტზე მოდის ერთნახევარი ხელმძღვანელი, რაც უზრუნველყოფს კვლევითი კომპონენტის ეფექტიანობას. კვლევითი შედეგები მაღალია: პროგრამაში ჩართულ პირებს ბოლო 5 წლის განმავლობაში საერთო ჯამში 620-მდე სამეცნიერო ინდექსი აქვთ. ეს მოიცავს 102 ნაშრომს საერთაშორისო ჟურნალებში და 117 მოხსენებას საერთაშორისო კონფერენციებზე. უნივერსიტეტი აკონტროლებს კვლევის ხარისხს აღნიშნული ინდიკატორების გამოყენებით. 20-კრედიტიანი სამაგისტრო ნაშრომის გასაუმჯობესებლად რეკომენდებულია მესამე და მეოთხე აკადემიურ წლებში კვლევითი სემინარებისა და მინი-პროექტების დანერგვა, რათა სტუდენტები ეტაპობრივად მომზადდნენ. გარდა ამისა, რეკომენდებულია უცხოელი ხელმძღვანელების ან თანახელმძღვანელების ჩართვა, რაც გააუმჯობესებს ნაშრომების საერთაშორისო ხარისხს.

გ) მესამე ნაწილი — ფინანსური სტაბილურობა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლი: პროგრამის ფინანსური მდგრადობა შეფასებულია როგორც მნიშვნელოვნად შესაბამისი. უნივერსიტეტი იყენებს ერთიან საბიუჯეტო სისტემას, რომელიც მოიცავს სწავლის საფასურს, სახელმწიფო გრანტებსა და სენაკის სასწავლო ბაზაზე სოფლის მეურნეობის პროდუქტებიდან მიღებულ შემოსავალს. პროგრამა დამატებით მხარდაჭერილია სახელმწიფო და საერთაშორისო გრანტებით, მათ შორის აშშ-ის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის პროექტით, რომლის ფარგლებში უნივერსიტეტი აღჭურვილია რენტგენის სისტემით. სამწლიანი განვითარების გეგმა 220 000 ლარზე მეტ რესურსს გამოყოფს ინფრასტრუქტურისა და ადამიანური რესურსებისთვის, თუმცა ეს არასაკმარისია გრძელვადიანი მიზნების უზრუნველსაყოფად — პროგრამის ზრდისა და მზარდი საჭიროებების გათვალისწინებით. ძირითადი რეკომენდაციაა 5–7 წლიანი ფინანსური განვითარების გეგმის შემუშავება, რომელიც მოიცავს ინფრასტრუქტურას, ადამიანურ რესურსებსა და კვლევის დაფინანსების სტრატეგიებს.

პრიორიტეტული ინვესტიციები უნდა იყოს მიმართული პრაქტიკული ინფრასტრუქტურის განვითარებაზე — კერძოდ, კლინიკური დაწესებულებებისა და OEC შეფასების სისტემების შ ე ქ მ ნ ა ზ ე .

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ყოვლისმომცველია და უზრუნველყოფს შესაბამის სტანდარტს. შიდა შეფასება სისტემატურია და მოიცავს სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების უკუკავშირს. გარე შეფასების მექანიზმებიც სისტემატურია — მოიცავს აკრედიტაციის დასკვნებსა და საერთაშორისო ექსპერტების მონაწილეობას. მიუხედავად ამისა, სწავლების მექანიზმი შეფასებულია როგორც არსებითად შესაბამისი, თუმცა გამოვლენილია შინაარსობრივი და ლოგიკური შეუსაბამობები სასწავლო რუკასა და სწავლის შეფასების გეგმას შორის. შესაბამისად რეკომენდებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა გააძლიეროს თანამშრომლობა აკადემიურ გუნდთან სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის დახვეწის მიზნით.

საბოლოოდ, შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა აგებულია ერთგულ ადამიანურ რესურსებზე, მაღალი კვლევითი შედეგებზე, მოწინავე კვლევით მეთოდოლოგიებზე და შესაბამისობიდან აღიარებით სრულყოფილებამდე მიყვანილ პრაქტიკებზე. გრძელვადიანი სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტმა სტრატეგიულად უნდა გაანაწილოს კაპიტალი, რაც მოიცავს:

- საკუთარი კლინიკური ინფრასტრუქტურის — სასწავლო ვეტერინარული კლინიკის ან მუდმივი ლაბორატორიული დაწესებულების — შექმნას, რათა დაკმაყოფილდეს თანამედროვე ვეტერინარული სტანდარტები;
- 5–7 წლიანი ყოვლისმომცველი ფინანსური განვითარების გეგმის შემუშავებას. ინფრასტრუქტურული მხარის გაძლიერება და გრძელვადიანი ფინანსური დაგეგმვა უზრუნველყოფს პროგრამის უწყვეტ განვითარებას და მის საერთო ხარისხს მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ რეგიონულ უნივერსიტეტებში აგრარული მიმართულება, ზოგადად, პრიორიტეტულია და ეს მიმართულება მხოლოდ აღნიშნულ კონცეფციაში კი არა, უკვე რამდენიმე წლით ადრე, უნივერსიტეტის დაფუძნებისთანავე, დაწესებულებისთვის პრიორიტეტად ჩამოყალიბდა. უნივერსიტეტს ამ დროისთვის ვეტერინარიის მიმართულებით მხოლოდ სამი კურსი ჰყავს მიღებული, რაც იმას ნიშნავს, რომ განვითარების გეგმა, რომელიც პრაქტიკული კომპონენტის სახით უნდა იყოს ცხადად გამოხატული, ჯერ არ არის სრულად წარმოჩენილი, რადგან სტუდენტები შესაბამის ს ა ფ ე ხ უ რ ზ ე ჯ ე რ ა რ მ ი ს უ ლ ა ნ .

აღინიშნა ისიც, რომ როდესაც ექსპერტები ვიზიტზე იმყოფებოდნენ, უნივერსიტეტს უკვე მიღებული ჰქონდა ვეტერინარული კლინიკის შესაბამისი შენობის ასაშენებელი თანხა. 300 000 ლარი უკვე გამოყოფილია და უნივერსიტეტს ვეტერინარული კლინიკა 2026 წლისათვის ექნება. გარდა ამისა, მეფუტკრეობის მიმართულებით სახელოსნოს მოწყობის პროცესიც მიმდინარეობს, რაც 2026 წელს კიდევ ერთ მნიშვნელოვან ინფრასტრუქტურულ პროექტად დ ა გ ე გ მ ი ლ ი ა .

უნივერსიტეტის ხედვაა მუდმივად გააუმჯობესოს მეშვიდე სტანდარტი. ამ მიმართულებით 800 000 ლარის ინვესტიცია უკვე დამტკიცებულია და ქმედებების განხორციელების პროცესი დაწყებულია. გარდა ამისა, დაწესებულებას ადგილზე ჰყავს ძლიერი პრაქტიკოსი პერსონალი, რომლებიც უშუალოდ ჩაერთვებიან პრაქტიკულ კომპონენტებში, რაც პროგრამის უწყვეტობას სრულად უზრუნველყოფს. დაწესებულება ორიენტირებულია განვითარებაზე — 5–7 წლიანი სამოქმედო გეგმაც უკვე შემუშავებულია, პირველი წელი დამტკიცებულია, ხოლო დანარჩენის

დამტკიცება 2026 წელს იგეგმება.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეს რეკომენდაციები და რჩევები ხელს უწყობს პროგრამის შემდგომ განვითარებასა და სტაბილურობის შენარჩუნებას. ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტს აქვს მეცხოველეობის კომპლექსი, რომელიც სტანდარტებით არის აშენებული და რომლის ანალოგიც საქართველოში არცერთ სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას არ გააჩნია. უახლოეს მომავალშიც ნაკლებად სავარაუდოა მსგავსის განხორციელება, რადგან ასეთი მასშტაბური პროექტი ძალიან დიდ ფინანსურ რესურსს მოითხოვს. აღნიშნული კომპლექსი უნივერსიტეტს აძლევს საშუალებას, ჩატარდეს კლინიკური სწავლება ეპიდემიოლოგიის, კლინიკური დიაგნოსტიკის, ანატომიისა და სხვა მიმართულებებში. ეს საკითხი უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის განსაკუთრებული ყურადღების სფეროა.
პრაქტიკული ტრენინგების განხორციელებასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ შენიშვნა ეხებოდა შინაარსობრივ გადაფარვას. განმარტებით ითქვა, რომ მაგალითად, პათოლოგიური მასალის აღება, ფიქსაცია და ლაბორატორიაში გაგზავნის წესები წარმოადგენენ როგორც პროდუქტიული ცხოველების მედიცინის ტრენინგის, ასევე წვრილი ცხოველებისთვის განკუთვნილი ტრენინგების კომპონენტს. სწორედ ეს ასპექტი იქნა მიჩნეული შინაარსობრივ გადაფარვად, რასაც უნივერსიტეტი დაეთანხმა, თუმცა საკითხი მაინც საჭიროებს დამატებით განმარტებას.
დასასრულად აღინიშნა, რომ უნივერსიტეტმა შეძლო სწავლების პროცესში თანამედროვე ინოვაციური მეთოდების დანერგვა, რომლებიც უკავშირდება პრაქტიკული უნარების შეფასების წესს. მეთოდოლოგიური თვალსაზრისით ყველა საკითხი მოწესრიგებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ რადგან დაწესებულებამ ვეტერინარული კლინიკის აშენებაზე განაცხადა, მას აინტერესებდა, კონკრეტულად რა მიმართულებაზე იქნებოდა კლინიკა ორიენტირებული.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ კლინიკა იქნება როგორც რქოსანი პირუტყვის, ისე დეკორატიული ცხოველების მიმართულებით, თუმცა არსებული ფერმაც უზრუნველყოფს მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის კლინიკურ მიღებას, რაც ბიუჯეტითაც არის განსაზღვრული.
საბჭოს თავმჯდომარეს დამატებით აინტერესებდა, იქნებოდა თუ არა კლინიკა მხოლოდ სასწავლო დანიშნულების, თუ რეგიონის ფერმერებისთვისაც იქნებოდა ხელმისაწვდომი. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კლინიკა არ იქნება მხოლოდ სასწავლო — ის საკონსულტაციო ფუნქციასაც შეასრულებს.
საბჭოს თავმჯდომარემ დაადასტურა, რომ კლინიკაში დაგეგმილია ქირურგიული და გინეკოლოგიური ბლოკების მოწყობა, რაც საშუალებას მისცემს უნივერსიტეტს აქტიურ რეჟიმში განახორციელოს კლინიკური და წინკლინიკური სწავლებები.
საბჭოს ერთ-ერთი წევრი დაინტერესდა, თუ რამდენად იქნება კლინიკა ორიენტირებული როგორც შინაურ ცხოველებზე, ისე რქოსან პირუტყვზე, და ჰკითხა, რა იგეგმებოდა ღორის მიმართულებით.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ესტონეთის უნივერსიტეტში ვეტერინარია ხუთწლიანი სწავლებაა, რომელიც ინტეგრირებულ ვეტერინარულ პროგრამაში ჯდება, ხოლო მეექვსე წელი არჩევითია და საჭირო ხდება იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტს სურს მოიპოვოს ცოდნა მეღორეობა-მეღორეობის მიმართულებით. საქართველოში, მისი თქმით, არ არის შესაძლებლობა, რომ ვეტერინარი იყოს მეღორეობის მიმართულებით სპეციალიზებული, რის გამოც ეს კომპონენტი განსხვავებულად არის წარმოდგენილი.
საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ საბაზო სასწავლო კურსებში გათვალისწინებულია ლაბორატორიული სწავლებები და ჰკითხა, რამდენად დამოუკიდებლად ახორციელებენ სტუდენტები ლაბორატორიულ მეცადინეობებს. მან მიუთითა ქიმიის სილაბუსში არსებულ

ჩანაწერზე, სადაც აღწერილია ბენზოლის გახსნა სხვადასხვა სითხეში, სინჯი არომატულ სტრუქტურაზე და კალიუმის პერმანგანატის მოქმედება ბენზოლთან. აღინიშნა, რომ ეს ბუნდოვანია, რადგან კალიუმი არ იხსნება წყალში და არც ბენზოლთან შედის რეაქციაში, შესაბამისად, გაურკვეველი იყო, რას ემახებოდა აღნიშნული ექსპერიმენტი. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ უნივერსიტეტს აქვს ქიმიის ლაბორატორია და სტუდენტებს შეუძლიათ დამატებითი მეცადინეობით, პედაგოგის მეთვალყურეობის ქვეშ, შეასრულონ ჩანაწერებში მითითებული სამუშაოები. ლაბორატორია მოქმედებს და შესაბამისი პირობები უზრუნველყოფილია.
საბჭოს წევრმა ასევე მიმართა ექსპერტებს სამოქმედო გეგმასთან მიმართებით. მეოთხე სტანდარტში გაცემულია რეკომენდაცია, რომელიც სამოქმედო გეგმას ეხება, თუმცა დაწესებულებას წარმოდგენილი ჰქონდა ბიუჯეტი. აღნიშნულია, რომ დაწესებულება ეთანხმება რეკომენდაციას, თუმცა აღნიშნული დოკუმენტი შიდა დოკუმენტი უნდა იყოს, რადგან სტანდარტი ამას პირდაპირ არ ითხოვს. გარდა ამისა, უნივერსიტეტის ვებგვერდზე ატვირთულია სტრატეგიული გეგმა 2030 წლამდე. ამიტომ დაუსვა კითხვა — რა გახდა რეკომენდაციის გაცემის საფუძველი.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ უნივერსიტეტს ჰქონდა და აქვს გეგმა 2025 წლის ჩათვლით, თუმცა საჭიროა, რომ ეს გეგმები ფინანსურადაც აისახოს. თუ საბჭო ჩათვლის, რომ რეკომენდაცია რჩევის სახით ჩამოყალიბდეს, ეს ექსპერტებისთვის მისაღები იქნება, თუმცა ფინანსური ნაწილის არსებობა აუცილებელ მოთხოვნად რჩება.
სიტყვა ითხოვა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელმა. მან განმარტა, რომ საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ცენტრში შემოვიდა კორესპონდენცია, რომელიც აუცილებელია, რომ საბჭოს წევრებმა საკითხის განხილვისას გაითვალისწინონ. სსიპ – ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ვეტერინარიის ინტეგრირებული“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა წარმოდგენილი იყო, როგორც 300-კრედიტიანი, თუმცა აგვისტოში შევიდა ცვლილება კანონმდებლობაში და ყველა უნივერსიტეტს დაევალა, სახელმწიფო ენა ცალკე საგნად ჩაემატებინა კურიკულუმში. აღნიშნულმა ცვლილებამ უკვე წარმოდგენილი სააკრედიტაციო პერიოდის დროს გამოიწვია პროგრამაში მოდიფიკაცია, რაც აისახა კრედიტების მოცულობის ზრდაზე.
მის მიერ შემოსულ წერილში აღნიშნულია, რომ ახალი ცვლილების შესაბამისად პროგრამის კრედიტების რაოდენობა 300-დან გაიზარდა 308-მდე. უნივერსიტეტს, ცვლილებების განხორციელების პერიოდიდან გამომდინარე, აღარ ჰქონდა შესაძლებლობა შესწორებული დოკუმენტები წარმოედგინა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყებისდრო: 14:46
დასრულებისდრო: 14:53
საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ვეტერინარიის" ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 7 წლის ვადით ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე -14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების

შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,საბჭომ იმსჯელა და ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება, რომ სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ვეტერინარიის" ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარდგენის პირობით.

3. მესამესაკითხი: სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ნავთობისა და გაზის ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:ნავთობისა და გაზის ინჟინერია
საფეხური:ბაკალავრიატი;
სწავლების ენა: ქართული;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:ინჟინერიის ბაკალავრი ნავთობისა და გაზის მოპოვების ტექნოლოგიაში;
დეტალური სფეროს კოდი: სამთო საქმე და მოპოვება-0724
სტატუსი: აკრედიტებული;
კრედიტები:240;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
ნარგულია სანიძე; თეა მჭედლური.
თვითაცილების საფუძველი– შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს, წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სულ წარმოდგენილია 4 რეკომენდაცია.
1. 1.2 სტანდარტთან დაკავშირებული რეკომენდაცია: რეკომენდებულია სასწავლო გეგმის გადახედვა და დახვეწა, რათა გამოყენებული იქნას თანმიმდევრული, გაზომვადი და მკაფიოდ განსაზღვრული მოქმედებითი ზმნები ბლუმის ტაქსონომიიდან, რაც უზრუნველყოფს დონეების შესაბამის სიცხადეს.
2. სტანდარტი 1.4: რეკომენდებულია სწავლის შედეგების რუკის გადახედვა, რათა უფრო შესაბამისი გახდეს კურსების სემესტრული განაწილება და სწავლების შედეგების მიღწევის დონე.
3. სტანდარტი 1.5: რეკომენდებულია სილაბუსებში მითითებული ძირითადი ლიტერატურის გადახედვა და მისი განახლება.
4. სტანდარტი 4.5: რეკომენდებულია პროგრამის ბიუჯეტის ხელახალი დაანგარიშება რეალურ, ფაქტობრივ შემოსავლებზე დაყრდნობით, ასევე დამატებითი შემოსავლის წყაროების მითითებით.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, წარმოედგინათ მოსაზრებები

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სულ 4 რეკომენდაცია გაიცა. ლიტერატურის განახლება არის უწყვეტი, დინამიკურად მიმდინარე და განვითარებადი პროცესი. ლიტერატურის განახლება ერთჯერადი აქტით არ სრულდება — ის მუდმივად გრძელდება. უნივერსიტეტში დანერგილია სილაბუსების პერიოდული გადასინჯვის მექანიზმი, რომელიც ითვალისწინებს როგორც ძირითადი, ისე დამხმარე ლიტერატურის აქტუალურობის გადამოწმებას ყოველი სასწავლო კურსის დაწყებამდე. რაც შეეხება „ნავთობისა და გაზის ინჟინერიის“ პროგრამას, აღნიშნული რეკომენდაცია ყოველწლიურად სრულდება იმ საერთო სისტემის ფარგლებში, რომელიც ბსუ-ში მოქმედებს. ამასთან, ხაზი გაესვა, რომ ამ პროგრამამ ბოლო 5 წლის განმავლობაში ოთხი რთული აკრედიტაცია გაიარა, სადაც მუდმივად იყო მითითება ლიტერატურის განახლებასთან დაკავშირებულ საკითხებზე და რეკომენდაციები ყოველთვის სრულდებოდა. შესაბამისად, კრიტიკული შეუსაბამობა ამ შემთხვევაშიც არ დასტურდება, ამიტომ დაწესებულება რეკომენდაციას რჩევის სახით იღებს. ბიუჯეტთან მიმართებით აღინიშნა, რომ დაწესებულება საგრანტო მოდელიდან გადავიდა სახელმწიფოს დაკვეთის მოდელზე, რაც გულისხმობს, რომ მთავრობა განსაზღვრავს კურიკულუმებს, რომელთა განხორციელებაც უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს, და შესაბამისად განსაზღვრავს კონტინგენტსაც. შესაბამისად, არ შეესაბამება რეალობას რეკომენდაცია, რომელიც თითქოს გულისხმობს, რომ დაწესებულებას შეუძლია თვითნებურად განსაზღვროს კონტინგენტი, რადგან ეს მინისტრის ბრძანებით რეგულირდება და არა უნივერსიტეტით.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ წინადადებების სტრუქტურა რთული არ არის, თუმცა მათი მოცულობა განპირობებულია იმით, რომ სფერო ვერ შემოიფარგლება ერთი სიტყვით. შესაბამისად, შესაძლოა ამან გარკვეული გაურკვევლობა მართლაც გამოიწვიოს, თუმცა გამოყენებული ფორმულირებები აღებულია ევროპის უნივერსიტეტების ანალოგიური პროგრამებიდან. მან ასევე აღნიშნა, რომ შესაძლოა ერთი სწავლის შედეგი სხვადასხვა კურსით იყოს დატვირთული, თუმცა სტრუქტურა შეესაბამება მოთხოვნებს და სრულ შესაბამისობაშია მეექვსე საფეხურთან. ამ მიზეზით, დაწესებულების აზრით, აღნიშნული რეკომენდაცია უნდა გადავიდეს რჩევის კატეგორიაში, და დასახელების სიდიდის გამო უნივერსიტეტი მზად არის, გაითვალისწინოს შესაბამისი შენიშვნები.

მეორე რეკომენდაციასთან მიმართებით განიმარტა, რომ ერთ-ერთ სწავლის შედეგში მითითებულია ნავთობისა და გაზის მარაგების „გამოთვლა, მოპოვება, შეგროვება, ტრანსპორტირება, ექსპლუატაცია და სხვა“. თითოეულ ამ სიტყვასთან დაკავშირებულია შესაბამისი სასწავლო კურსები და სფეროები. ტრანსპორტირებაზე ცალკე კურსი არ არსებობს, ამიტომ მის მიმართ მტკიცებითი ფორმის გამოყენება შეუძლებელი იქნებოდა — ის პროგრამაში

გაღრმავების ბლოკის სახით არის ინტეგრირებული. ასევე აღინიშნა, რომ მეშვიდე და მერვე სწავლის შედეგები შემოდის განმტკიცებითი კომპონენტით, ხოლო სხვა კურსები უზრუნველყოფენ გაღრმავებას, რის შედეგადაც იქმნება ერთიანი, ურთიერთთანხვედრილი სისტემა. „ნავთობისა და გაზის თეოლოგია“ ისწავლება მეოთხე სემესტრში როგორც ძირითადი საგანი; მეათხე და მეექვსე უნარები შემოდის განმტკიცებით, ხოლო სხვადასხვა კურსებიდან დამატებით ხორციელდება გაღრმავება, რაც საბოლოოდ ქმნის სისტემურ და ლოგიკურად გამართულ ჩარჩოს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, წარმოედგინათ მოსაზრებები
საბჭოს წევრმა კითხვით მიმართა ექსპერტებს და დაინტერესდა, თუ რამ გამოიწვია ბიუჯეტთან დაკავშირებული რეკომენდაციის გაცემა.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ უნივერსიტეტს გაანგარიშებული ჰქონდა ბიუჯეტი იმ მაქსიმალურ რაოდენობაზე, რამდენი სტუდენტის მიღებასაც გეგმავდა, თუმცა ეს რიცხვი რეალურად მიღებულ სტუდენტთა რაოდენობას არ შეესაბამებოდა. მათ შორის, გამოცხადებული ადგილების რაოდენობა და ფაქტობრივი პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავებული იყო. სწორედ ამ შეუსაბამობამ გამოიწვია რეკომენდაციის გაცემა.
ლიტერატურის განახლების მიმართულებით პროგრამა მნიშვნელოვნად არის გაუმჯობესებული, თუმცა 1–2 სასწავლო კურსში აღნიშნული იყო მხოლოდ დამატებითი ლიტერატურა, მათ შორის ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოები, რომლებიც ძირითადი ლიტერატურის ჩანაცვლებას ვერ უზრუნველყოფდა. ამ მიზეზითაც დაფიქსირდა რეკომენდაცია.
რაც შეეხება სწავლის შედეგების რუქებს, დაწესებულებას ამ მიმართულებითაც გაუმჯობესებული მდგომარეობა აქვს, თუმცა ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ სასწავლო კურსების სემესტრული განაწილება და სწავლის შედეგების დონეები უნდა იყოს ერთმანეთთან თანმიმდევრულად დაკავშირებული. მაგალითად, თუ მესამე სემესტრში კურსი მესამე დონეს შეესაბამება, მაშინ მეშვიდე და მერვე სემესტრებში არ შეიძლება იგივე კურსი პირველი ან მეორე დონით გადავიდეს — ეს ლოგიკური თანმიმდევრობით უნდა იყოს გამართული.
საბჭოს კიდევ ერთმა წევრმა აღნიშნა, რომ საჯარო უნივერსიტეტში პროგრამულად ზუსტად გაწერილი ბიუჯეტის შედგენა რთულია, ამიტომ მას აინტერესებდა ექსპერტების მოსაზრება ამ საკითხზე.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ იმდენად დიდი იყო განსხვავება რეალურ და დაგეგმილ შემოსავალს შორის, რომ რეკომენდაციის გაცემის აუცილებლობა არსებობდა.
საბჭოს წევრმა შემდეგ მიმართა კითხვით დაწესებულებას: პროგრამის სახელწოდება გარკვეულ დაბნევას იწვევს და ჰკითხა, ხომ არ ფიქრობდნენ სახელწოდებაში „მოპოვებისა“ და „ტრანსპორტირების“ მიმართულებების დამატებაზე.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ წინა კლასიფიკატორში სწორედ ასეთი სახელწოდება იყო და მაგისტრატურის პროგრამაში ეს სათაური ბოლომდე შენარჩუნდა. თუმცა კლასიფიკატორის შემდგომი ცვლილების შედეგად, პროგრამას მიენიჭა დამაბოლქვი დასახელება — „ნავთობისა და გაზის ინჟინერია“.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:20
დასრულების დრო: 15:28

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ნავთობისა და გაზის ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 7 წლის ვადით ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრისშედეგი:
მომხრე -13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,საბჭომ იმსჯელა და ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება, რომ სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ნავთობისა და გაზის ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარდგენის პირობით.

4. მეოთხესაკითხი: სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სასურსათო ტექნოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:სასურსათო ტექნოლოგია;
საფეხური:ბაკალავრიატი;
სწავლების ენა: ქართული;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სასურსათო ტექნოლოგიის ბაკალავრი;
დეტალური სფეროს კოდი: სურსათის გადამუშავება 0721;
სტატუსი: აკრედიტებული;
კრედიტები: 240;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
ნარგულია სანიძე; თეა მჭედლური
თვითაცილების საფუძველი - შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს, წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ ადმინისტრაცია აქტიურად არის ჩართული თითოეული პროგრამის განხორციელების პროცესში. უნივერსიტეტს გააჩნია წახალისების, მხარდაჭერის, ინფრასტრუქტურული და აკადემიური მექანიზმები, რომლებიც პროგრამების განვითარებაზეა ორიენტირებული. პროგრამის ხელმძღვანელები დაინტერესებულნი არიან, რომ პროგრამა წარმატებული იყოს და ხარისხიანად შესრულდეს.
ექსპერტის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ რიგი რეკომენდაციები გაიცა, დაწესებულებაში არსებული მდგომარეობა სრულად მისაღებია. მისი შეფასებით, პროგრამა რეგიონული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი და მნიშვნელოვნად შესრულებულია, რაც პოზიტიურად აისახება მისი განხორციელების ხარისხზე.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, წარმოედგინათ მოსაზრებები
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ სრულად არ იქნა გათვალისწინებული. დასკვნაში ძალიან ვრცლად არის წარმოდგენილი საუკეთესო პრაქტიკის ნაწილიც. აღნიშნულია, რომ პროგრამას აქვს სტრატეგიული შეფასებისა და პროგრამის გაფართოების კარგი გამოცდილება, ძლიერი ლაბორატორიული ორიენტაცია და მკაფიოდ აღწერილი შეფასების სქემები, რომლებიც ხელს უწყობს გამჭვირვალობასა და პრაქტიკული უნარების განვითარებას. ასევე ხაზგასმულია, რომ ბსუ-ს აქვს სტუდენტების მხარდამჭერი სისტემა და PDCA ციკლზე დაფუძნებული შიდა ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩო, რაც სასურსათო სექტორში პროგრამის მკაფიო რეგიონალურ ჩართულობასთან ერთად ქმნის უნივერსიტეტისა და ინდუსტრიის თანამშრომლობის, განვითარების და მონაცემებზე დაფუძნებული გაუმჯობესების კარგ საფუძველს.
ეს შეფასება პრინციპულად მნიშვნელოვანი არის, ვინაიდან თავად ექსპერტთა გუნდი აღიარებს პროგრამის ძლიერ მხარეებს და მის მნიშვნელობას რეგიონში — სწორედ იმ მიმართულებებს, რასაც დაწესებულება არგუმენტირებულ პოზიციაში ამტკიცებდა.
დასკვნაში აღნიშნულია, რომ მე-2, მე-4, მე-6, მე-8, მე-10, მე-17, მე-18 და მე-19 რეკომენდაციებს ექსპერტთა ჯგუფი ნაწილობრივ ეთანხმება და აღნიშნავს, რომ დაწესებულებაში გარკვეული მექანიზმები უკვე მოქმედებს, თუმცა საჭიროებს გაუმჯობესებას. ამასთან, ექსპერტები ადასტურებენ, რომ კრიტიკული ხარვეზები არ გამოვლენილა. თუ კრიტიკული ხარვეზი არ არსებობს, მაშინ რეკომენდაციები თავისი არსით წარმოადგენს სასურველობის ხასიათს და უფრო რჩევებია, ვიდრე რეალური ხარვეზის აღმოსაფხვრელი ვალდებულება.
აღინიშნა, რომ პროგრამამ ბოლო სამი წლის განმავლობაში სამი აკრედიტაცია წარმატებით გაიარა და ექსპერტთა ჯგუფის მიერ საუკეთესო პრაქტიკად აღიარებული კომპონენტები სწორედ ამ აკრედიტაციების შედეგია.
პირველი და მეათე რეკომენდაციები ეხება რეგიონულ განვითარებას, რომელიც თავისი არსით მეტი რჩევაა, ვიდრე რეკომენდაცია. მე-9, მე-12 და მე-22 რეკომენდაციები შეეხება სწავლების შედეგებში ლაბორატორიული უსაფრთხოების და სენსორული ანალიზის ინტეგრაციას. ექსპერტები აღიარებენ ბსუ-ს ძლიერ ლაბორატორიულ კომპონენტს, თუმცა რეკომენდაციებში საუბარია უსაფრთხოების პროტოკოლის დოკუმენტირებაზე. ამასთან, აღნიშნული ორი

მტკიცება ერთმანეთის წინააღმდეგ არ არის: პირველი ეხება ინფრასტრუქტურას, მეორე — პროცედურულ დოკუმენტაციას. დოკუმენტაციის სრულყოფა წარმოადგენს ჩვეულებრივ ადმინისტრაციულ საქმიანობას და არა სისტემურ ხარვეზს, ამიტომ ეს რეკომენდაციაც რჩევას წ ა რ მ ო ა დ გ ე ნ ს .

მე-2, მე-4 და მე-8 რეკომენდაციები ეხება დამსაქმებლების ჩართულობას, სტაჟირებების უკუკავშირსა და თანამშრომლობის მექანიზმების სრულყოფას. ექსპერტები თავადაც აღიარებენ, რომ დამსაქმებლებთან კონსულტაციები უკვე არსებობდა და პროგრამა ახალია — კურსდამთავრებულები ჯერ არ ჰყავს, ამიტომ შესაბამისი პროცესებიც ბუნებრივად ჩამოყალიბდება. აქედან გამომდინარე, ამ რეკომენდაციებსაც რჩევის სახე აქვს.

აფილირებასთან დაკავშირებული რეკომენდაციები — მე-17, მე-18 და მე-19 — შეეხება მოწვეული პერსონალის ხელშეკრულებების განახლებას. ექსპერტები აღიარებენ, რომ ბსუ-ში არსებობს აფილირების პროცედურები და სტანდარტული ხელშეკრულებების ფორმები. რეკომენდაციები უკავშირდება მხოლოდ დოკუმენტაციის სისრულეს პირად საქმეებში — ეს ადმინისტრაციული ხასიათის საკითხია, რომელიც დაწესებულებაში უკვე მნიშვნელოვნად მ ო წ ე ს რ ი გ ე ბ უ ლ ი ა. შ ე ს ა ბ ა მ ი ს ა დ, ე ს ე ც რ ჩ ე ვ ა ა.

სწავლის შედეგებთან დაკავშირებული რეკომენდაციები — მე-3, მე-5, მე-6, მე-7, მე-11, მე-13, მე-14 და მე-15 — ეხება იმას, რომ პროგრამა ახალია და მხოლოდ პირველი და მეორე კურსების სტუდენტები ჰყავს. ამ ეტაპზე მრავალწლიანი ტენდენციის ანალიზი ობიექტურად ვერ იქნება. აღნიშნული რეკომენდაციები წარმოადგენს განვითარების სტანდარტულ მიმართულებებს, რომლებიც ყველა ახალ პროგრამას ეხება, შესაბამისად, მათი არსიც მეტწილად რჩევის სახისაა.

ხარისხის თემას ეხება მე-21 რეკომენდაცია, სადაც ექსპერტები თავადვე აღიარებენ, რომ ბსუ-ს აქვს DBCA ციკლზე დაფუძნებული ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რაც საუკეთესო პრაქტიკადაა შეფასებული. ხარისხის სისტემის განახლება უნივერსიტეტში მუდმივად მიმდინარეობს რეგულაციების შესაბამისად. შესაბამისად, რეკომენდაცია აღწერს იმას, რაც უკვე მ ო ქ მ ე დ პ რ ო ც ე ს ს წ ა რ მ ო ა დ გ ე ნ ს .

ლიტერატურას ეხება მე-16 და მე-20 რეკომენდაციები. საწყის პროექტში 3 რეკომენდაცია იყო აღნიშნული, საბოლოო ვერსიაში კი კონსოლიდირებული და ორი რეკომენდაციის სახით წარმოდგენილი. ლიტერატურის განახლება უწყვეტი პროცესია და პროგრამის ორგანულ ნაწილს წარმოადგენს. შესაბამისად, ესეც რჩევის ხასიათს ატარებს.

დასასრულს, დაწესებულება აღნიშნავს:

- აღიარებს ექსპერტების მიერ წარმოდგენილ საუკეთესო პრაქტიკებს;
- ეთანხმება, რომ რეკომენდაციების დიდი ნაწილი ეხება არსებულ პროცესთა კონსოლიდაციას და არა ახალი მექანიზმების შექმნას;
- პროგრამა აკმაყოფილებს სტანდარტებს — ამას თვითონ ექსპერტებიც ადასტურებენ;
- რეკომენდაციები არაპროპორციულია იმ პროგრამის მიმართ, რომელმაც ბოლო სამი წლის განმავლობაში სამი აკრედიტაცია გაიარა და რომლის ინფრასტრუქტურას სხვა დაწესებულებების წარმომადგენლებიც იყენებენ;
- ბსუ მზად არის რეკომენდაციების, როგორც რჩევების, გათვალისწინებისა და განვითარებისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს თავმჯდომარემ ექსპერტებს მიმართა კითხვით — გადამოწმდა თუ არა მისანიჭებელი კვალიფიკაცია და არის თუ არა იგი შესაბამისობაში მოთხოვნებთან. ექსპერტმა განმარტა, რომ ახალი მიდგომით მისანიჭებელი კვალიფიკაცია არის „სასურსათო ტექნოლოგიების“ ბაკალავრი, თუმცა ვიზიტის დროს გაირკვა, რომ ამის დამადასტურებელი დოკუმენტი არსად არსებობდა. ამიტომ დაწესებულებამ მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ არსებული კვალიფიკაცია დროებით დაეტოვებინა და შემდგომში, საჭიროების შემთხვევაში, შეცვლილიყო. ასევე აღნიშნა, რომ წარმოდგენილ აკადემიური პერსონალის დოკუმენტები

ძველი თარიღით იყო წარმოდგენილი. 2022–23 წლების ხელშეკრულებები თანდართულად იყო წარმოდგენილი თითოეული აკადემიური პერსონალის პირად საქმეში, რის გამოც გაიცა შესაბამისი რეკომენდაცია.
საბჭოს თავმჯდომარეს დააინტერესა დაწესებულების პოზიციაც მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან დაკავშირებით.
პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ რადგან დამადასტურებელი დოკუმენტი არ არსებობდა, მისანიჭებელი კვალიფიკაციის შეცვლა შეუძლებელი იყო.
საბჭოს წევრმა ექსპერტებს მიმართა შეკითხვით: ერთ-ერთი რეკომენდაციის მიხედვით, პროგრამის აღწერილობაში უნდა დაზუსტდეს, თუ როგორ უწყობს ხელს პროგრამის მიზნები რეგიონალურ განვითარებას. წევრს აინტერესებდა, კონკრეტულად რას გულისხმობდა ექსპერტთა ჯგუფი „რეგიონალურ განვითარებაში“. ასევე აღნიშნა, რომ სილაბუსებში ძირითადად ფიგურირებს ზეპირი გამოკითხვები, და ჰკითხა — რამდენად კომფორტულია ასეთი შეფასების ფორმა და რამდენად არის დაცული სტუდენტი სუბიექტური შეფასებისგან.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ უნივერსიტეტის მიდგომაა, რომ ყველა გამოცდა წერითი ფორმით ჩატარდეს; თუმცა, თუ ამასთან ერთად ზეპირი კომპონენტიც გათვალისწინებული იქნება, გაცილებით კომბინირებული და ეფექტიანი შეფასების ფორმა მიიღება.
საბჭოს წევრმა ასევე აღნიშნა, რომ რამდენიმე სასწავლო კურსში გამოიყენება ლექტორის მიერ მომზადებული მასალები, თუმცა ისინი სილაბუსებში მხოლოდ დამხმარე ლიტერატურად არის მითითებული. მას აინტერესებდა, რატომ არ შეტანილა ეს მასალები ძირითად ლიტერატურაში.
პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ სილაბუსებში არსებობს ელექტრონული პროტოკოლები, რომლებიც ეგზავნება სტუდენტებს, თუმცა ეს მასალები დამატებითი ლიტერატურის კატეგორიაში გადის.
საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ ორგანული და არაორგანული ქიმიის კურსებში ალოგიკურად არის დალაგებული სწავლების საკითხები და ჰკითხა, როგორ ხდება შედეგზე გასვლა ასეთ შემთხვევაში.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ თეორიულ და ლაბორატორიულ ნაწილებს სხვადასხვა ლექტორი ასწავლის. გარკვეულწილად ეს ადმინისტრაციული ხასიათის საკითხია და კურსებისთვის დამატებით დატვირთვას არ ქმნის. გარდა ამისა, მეორე სემესტრიდან შემოდის ისეთი საგნები, რომელთა შესწავლაც ორივე კომპონენტის გავლას მოითხოვს, რის გამოც დროში შეუსაბამობა შესაძლოა წარმოიშვას.
საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ სასურსათო ტექნოლოგიებში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ანალიზის უნარებს, რადგან სტუდენტთა დიდი ნაწილი მომავალშიც ამ მიმართულებით აგრძელებს სწავლას. ამიტომ ჰკითხა, რამდენად არის ჩართული ლაბორატორიული ცენტრი საბაკალავრო საფეხურზე და აქვთ თუ არა სტუდენტებს დამოუკიდებლად მუშაობის საშუალება.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ უნივერსიტეტმა დაახლოებით ხუთი წლის წინ მოიპოვა მილიონნახევრიანი ინვესტიცია კვლევით ინსტიტუტში, რომელიც სრულად მორგებულია სასურსათო მიმართულებას. ქიმიის მიმართულებით დაწესებულებას ჰყავს რამდენიმე დოქტორანტი და პოსტდოქტორანტი, რომლებიც დასაქმებულნი არიან ქრომატოგრაფიულ ცენტრში და მონაწილეობენ რვა საგრანტო თემის კვლევაში. დოქტორანტები მეთვალყურეობენ ბაკალავრებს კვლევით პროცესში, თუმცა საბაკალავრო ნაშრომის შესრულებისას სტუდენტები დამოუკიდებლად მუშაობენ.
საბჭოს წევრმა კიდევ ერთი კითხვით მიმართა ექსპერტებს: ქვესტანდარტ 2.1 და 4.4-ში რეკომენდაცია არ არის გაცემული, თუმცა შეფასება მითითებულია როგორც „მეტწილად შესაფერისი“. მას აინტერესებდა, არსებობდა თუ არა ტექნიკური ხარვეზი. ექსპერტმა დაადასტურა, რომ საქმე ტექნიკურ ხარვეზს ეხებოდა.

სხდომაზეგამოცხადდასათათბიროშესვენება

დაწყებისდრო: 16:13
დასრულებისდრო: 17:03

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: **ს**სიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სასურსათო ტექნოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 7 წლის ვადით ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრისშედეგი:
მომხრე -13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,საბჭომ იმსჯელა და ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება, რომ **ს**სიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სასურსათო ტექნოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარდგენის პირობით.

5. მეხუთე საკითხი: სიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ვეტერინარიის" ინტეგრირებული სამაგისტრო და "ვეტერინარიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:ვეტერინარია;
საფეხური:ინტეგრირებული სამაგისტრო;
სწავლების ენა: ქართული;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:ვეტერინარიის მაგისტრი(MVM);
დეტალური სფეროს კოდი: 0841 ვეტერინარია;
სტატუსი: აკრედიტებული;
კრედიტები: 308;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:ვეტერინარია;
საფეხური:დოქტორანტურა;
სწავლების ენა: ქართული;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ვეტერინარიის დოქტორი;
დეტალური სფეროს კოდი: 0841 ვეტერინარია;

სტატუსი: აკრედიტებული;
კრედიტები:50;

საგანმანათლებლოდაწესებულებისმიერსაბჭოსწევრ(ებ)ისაცილება
√ არა
საბჭოსწევრ(ებ)ისთვითაცილება
√ არა

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს, წარმოედგინათ მათი პოზიცია.
თარჯიმანმა საბჭოს გააცნო ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის წერილი. პროგრამების შეფასება დაგეგმილია 2025 წლის 7–8 ოქტომბერს. სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტის „ვეტერინარიის“ პროგრამები ზოგადად შეესაბამება აკრედიტაციის სტანდარტებს და მნიშვნელოვან პროგრესს აჩვენებს როგორც ინფრასტრუქტურის, ისე პედაგოგიური ინოვაციების მიმართულებით. როგორც ინტეგრირებულ სამაგისტრო, ასევე დოქტორანტურის პროგრამას აქვს მკაფიოდ განსაზღვრული მიზნები, რომლებიც ლოგიკურად უკავშირდება უნივერსიტეტის სტრატეგიულ პრიორიტეტს — ცხოველთა ჯანმრთელობას, ზოონოზურ დაავადებებთან ბრძოლას, საზოგადოების დაცვასა და რეგიონული შრომის ბაზრის საჭიროებების დაკმაყოფილებას. უნივერსიტეტმა პრაქტიკულ სწავლების გასაძლიერებლად 264 770 ლარის ინვესტიცია განახორციელა მაღალი ხარისხის ვეტერინარულ სიმულატორებსა და მოდელებში, რამაც შესაძლებელი გახადა ობიექტურ-სტრუქტურირებული შეფასების მეთოდების დანერგვა. ექსპერტთა ჯგუფმა ეს ერთ-ერთ მთავარ ძლიერ მხარედ მიიჩნია.
მიუხედავად ამისა, შეფასების პროცესმა გამოავლინა გარკვეული გამოწვევები შიდა ხარისხის უზრუნველყოფისა და ფინანსური მდგრადობის ნაწილში, რაც საჭიროებს სისტემურ გაუმჯობესებას. განსაკუთრებით თვალსაჩინოა სასწავლო გეგმის რუკებსა და სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმებს შორის შეუსაბამობა. დოქტორანტურის პროგრამაში კი მდგრადობას საფრთხეს უქმნის როგორც უარყოფითი ფინანსური ბალანსი, ისე სამეცნიერო პუბლიკაციებისთვის გამოყოფილი ბიუჯეტის არარსებობა.
უნივერსიტეტმა უკვე გაითვალისწინა რეკომენდაციები, დაეთანხმა ხარისხის უზრუნველყოფის გაძლიერებასა და სასწავლო გეგმების სისტემატურ გადახედვას. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტი იცავს დოქტორანტურის კვლევის შეფასების არსებულ ჩარჩოს და ითხოვს შესაბამისი სტანდარტის შეფასების გადახედვას, რათა ის „მეტწილად შესაბამისიდან“ გახდეს „შესაბამისად“.
I ნაწილი — ინფრასტრუქტურული ინვესტიციები და სასწავლო გეგმის ინოვაციები:

- უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ მნიშვნელოვანი რესურსები მიმართა ინფრასტრუქტურის განახლებასა და პედაგოგიური პროცესების გაძლიერებაზე. განხორციელდა მატერიალური ინვესტიციები, მათ შორის — პრაქტიკული უნარების ლაბორატორიის აღჭურვა თანამედროვე სიმულატორებით (მაგ., რთული მშობიარობის სიმულატორი ჰეროპორტი, ძაღლის სტომატოლოგიურ-ქირურგიული მანეკენი). გარდა ამისა, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ 2026 წლის ნოემბრამდე ახალი ორსართულიანი ვეტერინარული კლინიკის მშენებლობისა და აღჭურვის მიზნით 908 495 ლარის გამოყოფაზე ხელშეკრულება გააფორმა.
- პროგრამები იყენებს სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლების მიდგომებს. წარმატებით დანერგილია ობიექტურ-სტრუქტურირებული პრაქტიკული გამოცდები (OSPE) და კლინიკური გამოცდები (OSCE), რომლებიც ხელს უწყობს პრაქტიკული უნარების განვითარებას და ამცირებს ცოცხალი ცხოველების გამოყენების აუცილებლობას.
- ინოვაციებთან ერთად, არსებით გამოწვევად რჩება სასწავლო გეგმის შიდა თანმიმდევრული ლოგიკის ნაკლებობა. გეგმის რუკებსა და სწავლების შედეგების შეფასების მექანიზმებს შორის თითქმის ყველა პროგრამაში იკვეთება შეუსაბამობები, განსაკუთრებით — სამაგისტრო საფეხურზე. მაგალითისთვის, ზოგიერთი კურსი, რომელიც მიზნად ისახავს კონკრეტული სწავლის შედეგის მიღწევას, საერთოდ არ არის ასახული შესაბამის შეფასების ინსტრუმენტებში, რაც სისტემური განახლების აუცილებლობას უსვამს ხაზს.
- დაკვირვებამ აჩვენა, რომ შედარებით ახალი ქირურგიული და ლაბორატორიული აღჭურვილობის ნაწილი ან საერთოდ არ გამოიყენება, ან მხოლოდ საჩვენებლადაა გამოტანილი. შესაბამისად, რეკომენდებულია მათი უფრო აქტიური და თანმიმდევრული ინტეგრაცია პრაქტიკულ სწავლებაში.

II ნაწილი — ადამიანური და კვლევითი რესურსების სტაბილურობა

- პროგრამებში ჩართული პერსონალი მაღალკვალიფიციურია — როგორც აკადემიური, ისე მოწვეული. პერსონალის შენარჩუნების მაჩვენებელი 90%-ს აჭარბებს. აკადემიურ პერსონალს აქვს სავალდებულო სამეცნიერო დატვირთვა: ორი წელიწადში მინიმუმ ერთი სტატიის გამოქვეყნება გავლენიან საერთაშორისო ჟურნალში.
- ბოლო 5 წლის განმავლობაში სამაგისტრო პროგრამის პერსონალს გამოქვეყნებული აქვს 102 სამეცნიერო სტატია საერთაშორისო ჟურნალებში; დოქტორანტურის პროგრამის პერსონალს — 111 სტატია. მათი ჩართულობა მაღალია საერთაშორისო და ეროვნული საკრედიტო პროგრამებშიც.
- დოქტორანტის ხელმძღვანელს მოეთხოვება ბოლო სამი წლის განმავლობაში საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში პუბლიკაციების არსებობა, რაც უზრუნველყოფს კვლევითი ხელმძღვანელობის მაღალ ხარისხს. დოქტორანტს უნივერსიტეტის დასრულებამდე მინიმუმ ორი სამეცნიერო სტატიის გამოცემა ევალება.
- მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის მოქმედ ხელმძღვანელს დიდი გამოცდილება აქვს, ექსპერტთა ჯგუფი მიზანშეწონილად მიიჩნევს თითოეული პროგრამისთვის ცალკე ხელმძღვანელის დანიშვნას, რათა შემცირდეს გადატვირთვა და გაუმჯობესდეს მენეჯმენტის ეფექტიანობა.

III ნაწილი — ფინანსური საფრთხეები და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლი

- დოქტორანტურის პროგრამა წუხილის საგანია უარყოფითი ფინანსური ბალანსის გამო. დამატებით პრობლემას წარმოადგენს პუბლიკაციების დაფინანსების ბიუჯეტის არარსებობა, რის გამოც სტუდენტები იძულებულნი არიან უფასო გამოქვეყნების გზებს ეძებდნენ.

- ინტეგრირებული სამაგისტრო პროგრამა შემოსავლების მხრივ სტაბილურია, თუმცა ჩარიცხვების მაჩვენებელი დაბალია, რაც რისკს აჩენს მისი გრძელვადიანი მდგრადობისთვის.
- ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ეფუძნება PDCA მოდელს და იყენებს დაინტერესებული მხარეების გამოკითხვებს. თუმცა კითხვარების ფორმულირებაში იკვეთება პრობლემები — კითხვები ხშირად არ შეესაბამება პასუხების შკალებს, რაც ზღუდავს მონაცემთა სიზუსტეს.
- პერსონალი სრულად არ იცნობს სწავლის შედეგების შიდა შეფასების პროცესს, რის გამოც რეკომენდებულია თანამშრომლობის გაძლიერება და აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება.

საბოლოო შეფასებისთ ვეტერინარიის პროგრამების კლასტერი გამოირჩევა მაღალი ერთგულებითა და სწრაფვით ხარისხიანი პროფესიული განათლებისკენ. ინფრასტრუქტურულმა ინვესტიციებმა და პედაგოგიურმა ინოვაციებმა მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია, ხოლო წინა რეკომენდაციები სრულად შესრულებულია.
პრიორიტეტი უნდა გახდეს სასწავლო გეგმის შიდა ლოგიკის გაძლიერება, სისტემური გადახედვის უზრუნველყოფით.
დოქტორანტურის პროგრამის ფინანსური და აკადემიური მდგრადობისთვის აუცილებელია პუბლიკაციების დაფინანსებისათვის ბიუჯეტის შექმნა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
მაკა ბერიძემ აღნიშნა, რომ ვეტერინარიის პროგრამა უნივერსიტეტის იმ საგანმანათლებლო მიმართულებებს ეკუთვნის, რომელსაც ყველაზე მეტი აფილირებული პერსონალი ჰყავს. ეს განპირობებულია დარგის მასშტაბით, სირთულითა და მისი ქვედარგების მრავალფეროვნებით. პროგრამამ ფეხი აიდგა საერთაშორისო პარტნიორის მხარდაჭერით, რის შედეგადაც სასწავლო პროცესში მაქსიმალურად აისახა უცხოელი პარტნიორების საუკეთესო პრაქტიკა. ამასთან, უნივერსიტეტმა მთელი ამ პერიოდის განმავლობაში აქტიურად ითანამშრომლა ადგილობრივ პარტნიორებთანაც.
გასული ორი წლის განმავლობაში პროგრამის განვითარებაში მილიონნახევარზე მეტი ლარი ჩაიდო. დღეს უნივერსიტეტს უკვე გააჩნია ჰერმატოლოგიური, ანესთეზიის, რეაბილიტაციისა და სხვა თანამედროვე ლაბორატორიები. ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში მხოლოდ ხელშეკრულებები არსებობდა, ახლა კი ეს ინფრასტრუქტურა სრულად ამოქმედებულია.
დოქტორანტების დაფინანსებასთან დაკავშირებით მაკა ბერიძემ აღნიშნა, რომ უზუსტობაა მტკიცება, თითქოს დაფინანსება არ არსებობს — დოქტორანტურისთვის ბიუჯეტი გაყოფილია უნივერსიტეტის საერთო ფინანსურ გეგმაში. დაწესებულება დოქტორანტების მომზადებაზე 500 ლარის მიღებას სწორედ ამ მიზნით იყენებს, ხოლო მომავალში უნივერსიტეტს სურს მათ მოსამზადებელი საფეხური სრულად უფასოდ შესთავაზოს.
უცხოური ენის კომპონენტის მხრივ რეკომენდაცია იყო ენობრივი ჩარჩოს შენარჩუნება, რათა ყველა სტუდენტს ჰქონდეს ჩართულობის შესაძლებლობა. ამასთან დაკავშირებით უნივერსიტეტმა განმარტა, რომ მას უკვე გააჩნია ინგლისური ენის უფასო კურსები. გარდა ამისა, დოქტორანტურაზე ისედაც ძირითადად ინგლისზე მოსაუბრე სტუდენტები მოდიან.
უნივერსიტეტმა მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია თურქეთის საელჩოსთან პარტნიორობით — დღეს უნივერსიტეტში მუშაობს მშობლიურ ენაზე მოსაუბრე თურქი მოხალისე, რომელიც ვეტერინარებს თურქულ ენას ასწავლის. თურქეთშიც, სტუდენტების სტაჟირებების პერიოდში, მათ ქართულენოვანი სტაჟიორები ხვდებიან, რაც უნივერსიტეტის რესურსით ფინანსდება.
მაკა ბერიძემ განსაკუთრებით გაუსვა ხაზი იმას, რომ არცერთი პროგრამა არ დგას ფინანსური პრობლემის წინაშე. უნივერსიტეტს ფინანსურ მხარდაჭერასი სამინისტრო უწევს, და დაწესებულებას არასოდეს გამოუტოვებია არც ერთი ხელმისაწვდომი საგრანტო ფონდი.
დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ როგორც უნივერსიტეტი, ისე

სამცხე-ჯავახეთის თვითმმართველობა აქტიურადაა ჩართული უნივერსიტეტის გაძლიერებაში. სადოქტორო პროგრამას აკრედიტაციიდან ჯერ მხოლოდ სამი წელი აქვს გასული, რაც საკმარისი დრო არ არის ყველა მიმართულებით სრულყოფილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისთვის. უნივერსიტეტის მიზანი ამ ეტაპზე იყო ძლიერი ადამიანური რესურსის უზრუნველყოფა, რაც პროგრამის მდგრადობის წინაპირობაა.
სამი წლის განმავლობაში უნივერსიტეტმა მოიპოვა მნიშვნელოვანი გრანტები. მათ შორის — ამერიკის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის მიერ დაფინანსებული 15 მილიონიანი პროგრამიდან მიღებული გრანტი, სადაც დაწესებულება კონკურენტულ ტენდერში გამარჯვებული გახდა. ასევე, მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით მოქმედი კონკურენტული ინოვაციური ფონდის საგრანტო კონკურსში უნივერსიტეტი პირველ ოთხეულში მოხვდა, რის შედეგადაც სასწავლო პროცესში ინოვაციური სწავლების მეთოდები დაინერგა. ამასთან, სიმულატორების მოპოვების საშუალებით უნივერსიტეტმა პრაქტიკაში ცხოველების გამოყენების შემცირება შეძლო.
დაწესებულება ეტაპობრივად ავითარებს მატერიალურ ინფრასტრუქტურას. დოქტორანტურის მკაფიო ჩარჩოს შესახებ რეკომენდაციაზე უნივერსიტეტმა განმარტა, რომ სასწავლო პროცესის ყველა ეტაპზე დეტალურად არის გაწერილი დოქტორანტის სამუშაოები, სამეცნიერო კომპონენტის შესრულების ეტაპები, მოთხოვნები და უკუკავშირის მექანიზმები. სწორედ ამიტომ, ბოლო ხუთი თვეა დანერგილი ახალი სიმულატორების ფონზე თანმიმდევრულობის პრობლემა არ უნდა იყოს გასაკვირი — სისტემა ჯერ ახლად ფორმირდება. ამასთან, უცხოელი პროფესიონალების მონაწილეობით ჩატარდა ერთკვირიანი მასტერკლასი დოქტორანტებისა და პერსონალისთვის, სადაც სიმულატორების გამოყენების ტექნიკას ასწავლიდნენ. საბოლოოდ, უნივერსიტეტმა სრულ შესაბამისობაში მოიყვანა სადოქტორო პროგრამა განათლების სამინისტროს 2024 წლის 30 აგვისტოს №141 ბრძანებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან. განხორციელდა 5 000 ლარის ღირებულების სპეციალიზებული ლიტერატურის შესყიდვა, შეიქმნა ვეტერინარებისთვის გზამკვლევები, რომლებიც სოციალურ ქსელებში განთავსდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა პრაქტიკული შეფასების არათანმიმდევრობასთან მიმართებით გაცემულ რეკომენდაციზე კითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფს. მას ამასთან დაკავშირებით ექსპერტების პოზიცია აინტერესებდა. ასევე, პროგრამის ხელმძღვანელის საკითხთან დაკავშირებულ რჩევსთან მიმართებით აინტერესებდა საიდან გამომდინარეობს ეს რჩევა.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ რადგან დანადგარები ახალი ნაყიდია ბოლომდე დანერგილი არ არის. რეკომენდაცია კი ამ პროცესების დაჩქარების მიზნით გაიცა. რაც შეეხება მეორე კითხვას, საქართველოში ვეტერინარიის მიმართულებით კვალიფიციური კადრი არის ძალიან ცოტა, შესაბამისად, ერთი პედაგოგი შეიძლება მუშაობდეს 2 ან მეტ დაწესებულებაში, რაც პროფესორებისთვის ძალიან რთულია.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ამ ყველაფერს მალე სრულად მოაგვარებს განათლების რეფორმა, რომელშიც დეტალურად არის გაწერილი ვის სად შეუძლია იმუშაოს.
საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ დაწესებულებამ გზამკვლევები სოციალურ ქსელში განათავსა. მას აინტერესებდა რა იყო ამის მიზეზი.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ეს არის ის სოციალური ქსელი, რომლითაც სარგებლობენ ვეტერინარები. ეს გზამკვლევები შემუშავდა ერასმუსის პროგრამების ფარგლებში და ამ გზამკვლევებში იყო სხვადასხვა დაავადების დროს განსახორციელებელი გეგმა.
საბჭოს წევრს სამაგისტრო ნაშრომებთან დაკავშირებით აინტერესებდა რომელი სტილი გამოიყენებოდა ჩიკაგო თუ ალფა. ასევე, ნაშრომებში გამოყენებული ლიტერატურა ძალიან ხშირად არის მოძველებული და უმჯობესი იქნებოდა უფრო ახალი ლიტერატურა გამოეყენებინა სტუდენტს ნაშრომისთვის.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში ყველა აკადემიური ნაშრომისთვის მიღებულია ერთი სტილი, რომელიც არის ჩიკაგოს სტილი.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ერთი სახელმძღვანელოა ჩართული რუსულენოვანი, რომელიც ეხება პათომორფოლოგიური დიაგნოსტიკა. მაგისტრატურის ნაშრომის ხელმძღვანელებს განათლება ძირითადად მიღებული აქვთ რუსულენოვანი ლიტერატურით, შესაბამისად მათ მიუწვდებათ ხელი ამ მასალაზე და სტუდენტს ეხმარებიან მასალის გაცნობაში.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:52
დასრულების დრო: 18:04
საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ვეტერინარიის" ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 7 წლის ვადით ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრისშედეგი:
მომხრე -15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,საბჭომ იმსჯელა და ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება, რომ სიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ვეტერინარიის" ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარდგენის პირობით.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ვეტერინარიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 7 წლის ვადით ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრისშედეგი:
მომხრე -15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,საბჭომ იმსჯელა და ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება, რომ სიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ვეტერინარიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარდგენის პირობით.

6. მეექვსე საკითხი: შპს „საქართველოს უნივერსიტეტის“ „ბლოკჩეინი და დეცენტრალიზებული ინფორმაციული სისტემების“ სამაგისტრო, „ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის“ სამაგისტრო, „ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის“ ინგლისურენოვანი სამაგისტრო, „კომპიუტერული მეცნიერების“ სადოქტორო, „კომპიუტერული მეცნიერების“ საბაკალავრო, „კომპიუტერული მეცნიერების“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო, „კომპიუტერული მეცნიერების“ სამაგისტრო და „კომპიუტერული მეცნიერების“ ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ბლოკჩეინი დეცენტრალიზებული ინფორმაციული სისტემები;
საფეხური: მაგისტრატურა;
სწავლების ენა: ინგლისური;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ინფორმაციული სისტემების მაგისტრი;
დეტალური სფეროს კოდი: 0613 პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი;
სტატუსი: ახალი;
კრედიტები:120;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტი;
საფეხური: მაგისტრატურა;
სწავლების ენა: ქართული;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის მაგისტრი;
დეტალური სფეროს კოდი: 0619 ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიები - არაკლასიფიცირებული;
სტატუსი: აკრედიტებული;
კრედიტები:120;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტი;
საფეხური: მაგისტრატურა;
სწავლების ენა: ინგლისური;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის მაგისტრი;
დეტალური სფეროს კოდი: 0619 ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიები - არაკლასიფიცირებული;
სტატუსი: ახალი;
კრედიტები:120;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:კომპიუტერული მეცნიერება;
საფეხური: ბაკალავრიატი;
სწავლების ენა: ქართული;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:კომპიუტერული მეცნიერების ბაკალავრი ;
დეტალური სფეროს კოდი: 0613 პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი ;
სტატუსი: ახალი;
კრედიტები:240;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:კომპიუტერული მეცნიერება;
საფეხური: ბაკალავრიატი;
სწავლების ენა: ინგლისური;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:კომპიუტერული მეცნიერების ბაკალავრი;
დეტალური სფეროს კოდი: 0613 პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი ;
სტატუსი: ახალი;
კრედიტები:240;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:კომპიუტერული მეცნიერება;
საფეხური: მაგისტრატურა;
სწავლების ენა: ქართული;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:კომპიუტერული მეცნიერების მაგისტრი;
დეტალური სფეროს კოდი: 0613 პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი ;
სტატუსი: ახალი;
კრედიტები:120;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:კომპიუტერული მეცნიერება;
საფეხური: მაგისტრატურა;
სწავლების ენა: ინგლისური;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:კომპიუტერული მეცნიერების მაგისტრი;
დეტალური სფეროს კოდი: 0613 პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი ;
სტატუსი: ახალი;
კრედიტები:120;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:კომპიუტერული მეცნიერება;
საფეხური: დოქტორანტურა;
სწავლების ენა: ქართული;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:კომპიუტერული მეცნიერების დოქტორი;
დეტალური სფეროს კოდი: 0613 პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი ;
სტატუსი: ახალი;
კრედიტები:180;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეექვსე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
თარჯიმანმა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის მიგნებები გააცნო საბჭოს. შეფასება ჩატარდა ეროვნული აკრედიტაციის სტანდარტებისა და პროცედურების, ასევე მოქმედი მარეგულირებელი ჩარჩოების სრული დაცვით. თვითშეფასების დოკუმენტის, დაწესებულების მიერ წარდგენილი მტკიცებულებებისა და აკრედიტაციის ადგილზე ვიზიტის შედეგების საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფმა განსაზღვრა, რომ კლასტერში არსებული პროგრამები ავლენენ საერთო შესაბამისობას აკრედიტაციის სტანდარტებთან. სტანდარტების უმეტესობა შეფასებულია როგორც „შესაბამისი“, ხოლო გარკვეული კომპონენტები – როგორც „მეტწილად შესაბამისი“, რაც მიუთითებს იმ სფეროებზე, რომლებიც საჭიროებენ შემდგომ განვითარებას. აღნიშნული პროგრამები ძირითადად შეეხება პროგრამის სწავლის შედეგების ფორმულირებასა და შეფასებას მაგისტრატურის დონეზე, პრაქტიკული და კვლევითი კომპეტენციების განვითარებას, სტუდენტების მხარდაჭერის სერვისებს, ადამიანური რესურსების მართვის შესაძლებლობებს, შიდა ხარისხის უზრუნველყოფას და პროგრამის ფინანსურ მდგრადობას. საერთო ჯამში, პანელი მიიჩნევს, რომ კლასტერი აკმაყოფილებს აკრედიტაციის მოთხოვნებს, აღნიშნავს დაწესებულების კონსტრუქციულ ჩართულობას და მის ერთგულებას ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესების მიმართ.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ 1.2 ქვესტანდარტში რეკომენდებულია სასწავლო შედეგების გადახედვა მათი ზოგადი ფორმულირებისთვის. მაგალითად, „ავთარებს გადაწყვეტილებებს“ რეკომენდირებულია გამდიდრდეს კონკრეტული მაგალითებით, როგორიცაა: „ავთარებს "information and communication"-ზე დაფუძნებულ გადაწყვეტილებებს მომხმარებელთა მოთხოვნების ანალიზისა და შეფასების საფუძველზე.“ 2.2 ქვესტანდარტში რეკომენდებულია სამაგისტრო პროგრამებში ჯგუფური სამაგისტრო ნაშრომების დაშვების პრაქტიკის გადახედვა და, მიზანშეწონილია, მისი შეწყვეტა, რათა სტანდარტი ერთის ფარგლებში უზრუნველყოფილი იყოს ინდივიდუალურად ჩამოყალიბებული მეშვიდე დონის შედეგები. საქართველოს უნივერსიტეტიდან მიღებული უკუკავშირი ორივე რეკომენდაციას ადასტურებს.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულებამ გაითვალისწინა აღნიშნული რეკომენდაციები. ვიზიტმა ჩაიარა კონსტრუქციულად და იყო საინტერესო დისკუსიები.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ ექსპერტები გაეცნენ უნივერსიტეტის არგუმენტირებულ პასუხს და ამის შედეგად მოხდა რეკომენდაციებში ცვლილება. მაგალითად მეოთხე სტანდარტში

არსებული 2 რეკომენდაცია გაერთიანდა, რომელიც ეხებოდა საათების ფორმალიზებას. ხოლო 5.3 ქვესტანდარტთან დაკავშირებით ითქვა, რომ პირველი პროგრამის ფარგლებში ის ამოიღო ექსპერტთა გუნდმა.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ ვიზიტი იყო კოლეგიალური.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა „კომპიუტერული მეცნიერების“ საბაკალავრო პროგრამასთან დაკავშირებით მიმართა დაწესებულებას კითხვით. მან აღნიშნა, რომ სილაბუსში არ შეინიშნებოდა საზოგადოება, ეთიკა და პროფესიონალიზმი; შესაბამისად, დაინტერესდა, იყო თუ არა აღნიშნული მიმართულებები განხილული ცალკეული საკითხების დონეზე.
პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ „კომპიუტერული მეცნიერების“ საბაკალავრო პროგრამის გარე შეფასება ჩატარდა ამერიკული კომპანიის მიერ, რომელმაც დაადასტურა, რომ აღნიშნული პროგრამის შედეგები გაშლილად არის წარმოდგენილი შესაბამის საგნებში.
საბჭოს წევრმა დამატებით მიმართა დაწესებულებას პერსონალის დატვირთვის შესახებ. მას აინტერესებდა, არსებობდა თუ არა დაწესებულებაში წლიური დატვირთვის მკაფიოდ განსაზღვრული სქემა.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებობს მსგავსი გეგმა: ხელშეკრულებით განსაზღვრულია 40 საათიანი კვირეული დატვირთვა, რომლის ნაწილი მოიცავს სალექციო საქმიანობას, ხოლო ნაწილი – კვლევით მუშაობას. საჭიროების შემთხვევაში ხდება სქემის გადახედვა და ინდივიდუალური მიდგომის გამოყენება.
საბჭოს წევრი დაინტერესდა, ჰქონდათ თუ არა ექსპერტებს აღნიშნული ხელშეკრულებების გაცნობის შესაძლებლობა.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ექსპერტებისთვის დოკუმენტაცია არ ყოფილა წარდგენილი ცხრილის სახით, რის გამოც გაჩნდა შესაბამისი რეკომენდაცია.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ გაურკვეველი იყო, რა მოთხოვნები გააჩნდა დაწესებულებას აკადემიური პერსონალის მიმართ, რის საფუძველზეც რეკომენდაციაც ჩამოყალიბდა. არგუმენტირებულ დოკუმენტშიც გაკეთებულია აქცენტი მოწვეულ პერსონალზე და არა აკადემიურზე.
ექსპერტის განმარტებით, შიდა რეგულაციები და დატვირთვის ნორმები საკმარისია, თუმცა ისინი ზოგადი ფორმით იყო წარმოდგენილი. მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული ინფორმაცია ჩაშლილი სახით არსებობდა, ექსპერტები შემოიფარგლნენ მხოლოდ იმ მტკიცებულებებით, რომლებიც ვიზიტის დროს ჰქონდათ ხელთ, რის გამოც ვერ მოხერხდა მათი სრულად გათვალისწინება. მაგალითად, აღინიშნა შემთხვევები, სადაც ლექტორი სხვადასხვა დაწესებულებაში მუშაობდა და ამავე დროს ასრულებდა 40 საათიან დატვირთვას, რაც მის კვლევით პროდუქტიულობაზე უარყოფითად აისახებოდა. აღნიშნულზეც ემყარება რეკომენდაცია.
საბჭოს წევრმა იკითხა, ნახა თუ არა ექსპერტთა ჯგუფმა პერსონალის CV-ები, სადაც მარტივად იქნებოდა შესაძლებელი სამეცნიერო აქტივობების შეფასება.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ CV-ები შემოწმდა და ბოლო წლებში გარკვეული აკადემიური პერსონალის შემთხვევაში სამეცნიერო აქტივობები არ დასტურდებოდა.
საბჭოს წევრმა ჯგუფური სამაგისტრო ნაშრომების პრაქტიკასთან დაკავშირებული რეკომენდაციის საფუძველი მოიკითხა და ამ მიმართულებით დაწესებულების პოზიციით დაინტერესდა.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მათი შეფასებით, აღნიშნული რეკომენდაცია არასწორად იყო ფორმულირებული. ასევე აღნიშნა, რომ მეოთხე სტანდარტში რიგი საკითხები დუბლირდებოდა. მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებით განაცხადა, რომ მათგან დაწესებულებას იგივე მოთხოვნები ვერ ექნება, რაც აკადემიურ პერსონალთან. სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობის შემთხვევაში აუცილებელია, ხელმძღვანელი იყოს აკადემიური პერსონალი; თუმცა შესაძლებელია თანახელმძღვანელის არსებობაც, რომელიც მოწვეული

პერსონალი იქნება. აფილირებული პერსონალი სრულად აფილირებულია მხოლოდ საქართველოს უნივერსიტეტში, ვინაიდან დაწესებულება პერსონალს მაღალ ბენეფიტს სთავაზობს, რის გამოც იშვიათია მათი ერთდროულად სხვა დაწესებულებებთან თანამშრომლობა. შესაბამისად, აღნიშნული პრობლემა მოხსნილია. ასევე განაცხადა, რომ არცერთი პროფესორი მოკლებული არ არის სამეცნიერო აქტივობას; პირიქით, ისინი აქტიურად ახორციელებენ კვლევით საქმიანობას. ჯგუფური ნაშრომი, მისი თქმით, ინდივიდუალურადაც შეიძლება შეფასდეს, ვინაიდან სტუდენტები ასრულებენ განსხვავებულ კომპონენტებს. მიუხედავად ამისა, დაწესებულებამ გადაწყვიტა რეკომენდაციის გათვალისწინება, მით უფრო, რომ წინა საბჭოზე აღნიშნულ საკითხს დაპირისპირება მოჰყვა.
ექსპერტმა განმარტა, რომ საათობრივი დატვირთვის შესახებ ცალკე რეკომენდაცია არ ყოფილა გაცემული; ის უკავშირდებოდა სამეცნიერო პროდუქტიულობის საკითხს, ვინაიდან კონკრეტულ მაგალითებში იყო გამოვლენილი კვლევითი მიმართულებით დაბალი აქტივობა. ჯგუფური ნაშრომი კი ეწინააღმდეგება მაგისტრატურის ძირითად მიზანს, სადაც ინდივიდუალური კვლევითი კომპონენტების დადასტურება აუცილებელია, და ამასთან, შესაძლოა წარმოიშვას აკადემიური მთლიანობის რისკიც.
ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მთავარი ფოკუსი იყო კვლევითი კომპონენტის შეფასების პროცესი ჯგუფური ნაშრომის შემთხვევაში. მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულებამ სესიების დროს წარმოადგინა დასაბუთება, რომ ეს შესაძლებელი იყო, ექსპერტები საკუთარ მიდგომას ერთგულად დარჩნენ.
დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ არსებობს CV-ები, სადაც ბოლო 3 წლის განმავლობაში პროფესორებს არ აქვთ პუბლიკაციები, თუმცა ასეთი პერსონალი იშვიათად ასრულებს სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელის როლს.

სხდომაზეგამოცხადდასათათბიროშესვენება
დაწყებისდრო: 18:57
დასრულებისდრო: 19:18

შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ბლოკჩეინი და დეცენტრალიზებული ინფორმაციული სისტემების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი — 7 წლის ვადით, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრისშედეგი:
მომხრე -15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,საბჭომ იმსჯელა და ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება, რომ პს

საქართველოს უნივერსიტეტის "ბლოკჩეინი დეცენტრალიზებული ინფორმაციული სისტემების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარდგენის პირობით.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: პს საქართველოს უნივერსიტეტის "ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 7 წლის ვადით ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე -15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,საბჭომ იმსჯელა და ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება, რომ პს საქართველოს უნივერსიტეტის "ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარდგენის პირობით.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: პს საქართველოს უნივერსიტეტის "ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 7 წლის ვადით ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრისშედეგი:
მომხრე -15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ

ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,საბჭომ იმსჯელა და ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება, რომ პს საქართველოს უნივერსიტეტის"ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარდგენის პირობით.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: პს საქართველოს უნივერსიტეტის "კომპიუტერული მეცნიერების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 7 წლის ვადით ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე -15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,საბჭომ იმსჯელა და ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება, რომ პს საქართველოს უნივერსიტეტის"კომპიუტერული მეცნიერების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარდგენის პირობით.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: პს საქართველოს უნივერსიტეტის ""კომპიუტერული მეცნიერების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 7 წლის ვადით ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე -15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,საბჭომ იმსჯელა და ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება, რომ პს საქართველოს უნივერსიტეტის""კომპიუტერული მეცნიერების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარდგენის პირობით.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: პს საქართველოს უნივერსიტეტის ""კომპიუტერული მეცნიერების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 7 წლის ვადით ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე -15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,საბჭომ იმსჯელა და ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება, რომ პს საქართველოს უნივერსიტეტის""კომპიუტერული მეცნიერების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარდგენის პირობით.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: პს საქართველოს უნივერსიტეტის "კომპიუტერული მეცნიერების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 7 წლის ვადით ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე -15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,საბჭომ იმსჯელა და ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება, რომ პს საქართველოს უნივერსიტეტის""კომპიუტერული მეცნიერების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარდგენის პირობით.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: პს საქართველოს უნივერსიტეტის ""კომპიუტერული მეცნიერების" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 7 წლის ვადით ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე -15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,საბჭომ იმსჯელა და ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება, რომ პს საქართველოს უნივერსიტეტის""კომპიუტერული მეცნიერების" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარდგენის პირობით.

7. მეშვიდე საკითხი: საქართველოს ტექნიკური უნივერისიტეტის „აგრარული ტექნოლოგიების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის, „აგრონომიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის, „მეცხოველეობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის, „აგრარული ტექნოლოგიების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, „მეცხოველეობის“

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, „სამკურნალო მცენარეები და მათი წარმოების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, „აგრონომიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის და „მეცხოველეობის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკიტხის განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:აგრარული ტექნოლოგიები;
საფეხური: ბაკალავრიატი;
სწავლების ენა: ქართული;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: აგრონომიის ბაკალავრი;
დეტალური სფეროს კოდი: მემცენარეობა და მეცხოველობა 0811;
სტატუსი: აკრედიტებული;
კრედიტები:240;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: აგრონომია;
საფეხური: ბაკალავრიატი;
სწავლების ენა: ქართული;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: აგრონომიის ბაკალავრი;
დეტალური სფეროს კოდი: მემცენარეობა და მეცხოველობა 0811;
სტატუსი: აკრედიტებული;
კრედიტები:240;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: მეცხოველეობა;
საფეხური: ბაკალავრიატი;
სწავლების ენა: ქართული;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: აგრონომიის ბაკალავრი;
დეტალური სფეროს კოდი: მემცენარეობა და მეცხოველობა 0811;
სტატუსი: აკრედიტებული;
კრედიტები:240;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: აგრარული ტექნოლოგიები;
საფეხური: მაგისტრატურა;
სწავლების ენა: ქართული;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: აგრონომიის მაგისტრი;
დეტალური სფეროს კოდი: მემცენარეობა და მეცხოველობა 0811;
სტატუსი: აკრედიტებული;
კრედიტები:120;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: მეცხოველეობა;
საფეხური: მაგისტრატურა;
სწავლების ენა: ქართული;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: მეცხოველეობის მაგისტრი;
დეტალური სფეროს კოდი: მემცენარეობა და მეცხოველობა 0811;
სტატუსი: აკრედიტებული;
კრედიტები:120;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: სამკურნალო მცენარეები და მათი წარმოება;
საფეხური: მაგისტრატურა;
სწავლების ენა: ქართული;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სამკურნალო მცენარეების მოყვანის ტექნოლოგიის მაგისტრი;

დეტალური სფეროს კოდი: მემცენარეობა და მეცხოველობა 0811;
სტატუსი: აკრედიტებული;
კრედიტები:120;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: აგრონომია;
საფეხური: დოქტორანტურა;
სწავლების ენა: ქართული;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: აგრონომიის დოქტორი;
დეტალური სფეროს კოდი: მემცენარეობა და მეცხოველობა 0811;
სტატუსი: აკრედიტებული;
კრედიტები: 60;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: მეცხოველეობა;
საფეხური: დოქტორანტურა;
სწავლების ენა: ქართული;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: აგრონომიის დოქტორი;
დეტალური სფეროს კოდი: მემცენარეობა და მეცხოველობა 0811;
სტატუსი: აკრედიტებული;
კრედიტები: 60;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
დავით კაპანაძე

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებუ ლებასთან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეშვიდე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ რეკომენდებულია უნივერსიტეტმა ჩაატაროს სავალდებულო სტრუქტურირებული ტრენინგები, რომლებიც კონკრეტულად უნივერსიტეტში იქნება ხელმისაწვდომი და ორიენტირებული სამეცნიერო ბაზების მნიშვნელობასა და გამოყენებაზე. შემდეგი რეკომენდაციის მიხედვით, რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გაზარდოს სტუდენტების ინფორმირებულობა და ცნობიერება აკადემიური მთლიანობის შესახებ. ასევე

რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გაზარდოს სტუდენტების ცნობიერება უნივერსიტეტში დამკვიდრებული აკადემიური სტილის შესახებ, რაც გააუმჯობესებს სტუდენტების მიერ შესრულებული სამუშაოს ხარისხს. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა წაახალისოს, მხარი დაუჭიროს და მოითხოვოს, რომ აკადემიურმა პერსონალმა გააძლიეროს კვლევითი კომპონენტის გამოქვეყნება, ასევე დააწესოს მკაცრი მოთხოვნები პერსონალისთვის. რეკომენდებულია, რომ კლასტერის თითოეულმა აკადემიურმა პროგრამამ შეიმუშაოს პროგრამის განვითარების გეგმა, რომელიც მის ბიუჯეტში იქნება ჩართული. ასევე რეკომენდებულია, უზრუნველყოს თვითშეფასების პროცესი, რომელიც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს გაუმჯობესების სფეროებს, ეფუძნება PDCA ციკლს და ხელს უწყობს პროგრამების უწყვეტ განვითარებას. გარდა ამისა, უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს სიღრმისეული და ხარისხიანი შეფასება სხვა უნივერსიტეტისადმი, რაც უზრუნველყოფს განვითარების შესაძლებლობებს.

პირველ პროგრამასთან მიმართებით რეკომენდებულია მეტი კომპანიისთან ხელშეკრულების დადება; რეკომენდირებულია ტენდერების შემუშავება სტაჟირების ადგილების შესარჩევად. რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ჩაატაროს თვითშეფასების ანგარიშში მითითებული სასწავლო სემინარები და სხვა ნებისმიერი სემინარი, რომელსაც თავად ჩათვლის საჭიროდ. ეს შეიძლება მოიცავდეს სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების დანერგვას.

მეორე პროგრამასთან მიმართებით რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს, რომ ყველა პროგრამას ჰქონდეს პერსონალის წვლილის გაანალიზება სწავლის შედეგების მიღწევაში. ასევე რეკომენდებულია მეტი ორგანიზაციასთან ხელშეკრულებების გაფორმება. რეკომენდებულია ტენდერების შემუშავება და განხორციელება სტაჟირების ადგილების შესარჩევად და რეკომენდებულია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ჩაატაროს თვითშეფასების ანგარიშში მითითებული სემინარები.

მესამე პროგრამასთან მიმართებით რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტმა უზრუნველყოს თითოეულ პროგრამაში ლექტორების მიმართ ერთიანი მიდგომა. რეკომენდებულია გაცილებით უფრო ფართო თანამშრომლობა სხვადასხვა დაწესებულებებთან ხელშეკრულებების საფუძველზე. ასევე რეკომენდებულია ტენდერების შემუშავება და განხორციელება სტაჟირების ადგილების შერჩევის მიზნით.

მეოთხე პროგრამასთან მიმართებით რეკომენდებულია ერთიანი მიდგომა პერსონალის მიმართ. რეკომენდებულია ბევრად მეტ ორგანიზაციასთან ხელშეკრულებების გაფორმება, სტაჟირების ადგილების შესარჩევად ტენდერების განხორციელება და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ანგარიშში მოცემული სემინარების ჩატარება, ასევე სხვა საჭირო ტრენინგების ორგანიზება. რეკომენდებულია ბიზნეს-სექტორებთან კომუნიკაციის არხების გაძლიერება და ფორმულირება.

მეხუთე პროგრამასთან მიმართებით რეკომენდებულია სხვა დაწესებულებებთან ხელშეკრულებების გაფორმების გაზრდა. რეკომენდებულია ტენდერების შემუშავება და განხორციელება სტაჟირების ადგილების შესარჩევად, ასევე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ჩაატაროს ანგარიშში მოცემული სემინარები და სხვა საჭირო ტრენინგები.

